ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 28 აგვისტო 1997 №100 (465) ფასი 40 თეთრი



გუშინ ეროვნულზე: დავით მუჯირის (№20) დარტყმული გერმანელთა კარში მიქრის

[illegible] ფოტოები

# მზიანი ღამე

**დინამო 1:0 ბაიერი**

**დინამო:** ზოიძე, ცქიტიშვილი, ჯელაძე, ლობჟანიძე, დიდავა, ჩხაიძე, გუჩუა, გოგობერიშვილი (ალექაძე 66), კიკნაძე, იაშვილი, მუჯირი (კვარაცხელია 88)
**ბაიერი:** პაინენი, ნოვოტნი, ბაპე, ვიორნსი, პაინცე, ნ. კოვაჩი, რამელო, ლენჰოფი (ემერსონი 77), ბაინლიხი, კირსტენი (რინკე 70), მეიერი (ფელდჰოფი 70)
1:0 მუჯირი (11)
**გაფრთხილება:** დიდავა, გუჩუა, ჯელაძე, რამელო, ჩხაიძე
**მსაჯი:** პ. დარკინი (ინგლისი)

**ვახტანგ გზირაძე**

დაღამდა მორიგი ოთხშაბათი, ვინ იცის, მერამდენე საფეხბურთო. ახალი ოთხშაბათიც გათენდება და დაღამდება, ქართულ ფეხბურთს კი ისევ გრძელი, პოლარული ღამე უდგას.

გუშინ საპასუხო შერკინებისთვის ნაწვევ გერმანელებს ვეთამაშეთ, ოღონდ ისინი არ გვეთამაშნენ და არ შეგვებნენ მთელი ძალით. გუშინდელზე ითქმოდა, „ბაიერს“ მისალმება არ დაემთავრებინა, „დინამო“ ისე დაეძგერაო. ეგებ არც აპირებდნენ გერმანელები მისალმებას. ლევერკუზენში ხომ მათ ისე მქუხარედ დასჭექეს სალამი, ექო ცხრა მთას აქეთ ორი კვირის მერეც ისმოდა.

ორ კვირაში „ბაიერი“ დიდად გაისარჯა: გერმანიის თასზე ერთი ეტაპიც დაძლია და ბუნდესლიგის მეოთხე ტურში „კარლსრუეც“ააყირავა (6:1). იცოდა ლევერკუზენელთა თავკაცმა, გუშინ 0:5-ს რომ არ წააგებდა, ისიც იცოდა, ამდენს თავად „დინამო“ ვერ შეძლებდა და ძალა და ენერგია გერმანულ მატჩებს დაახარჯა, გუშინდელს კი აღარ. „დინამომ“, პირიქით — მოინდომა, თუმცა იმდენი, რამდენის საშუალებაც ხასიათის სიმტკიცემ, ნებისყოფამ, ცოდნამ, ოსტატობამ და, რა თქმა უნდა, მეტოქემ მისცა. გერმანელებმა კი ქართველებს გვარიანი უფლებები დაუთმეს, ჩვენებმა ეს უფლებები უსრულად მოიხმარეს. მიზეზთა რკვევა ნაუცბათევად ძნელია, ზოგი ცნობილიცაა. ის კი, რაც იყო გუშინ, 30 ათასმა ქომაგმა ცხადლივ იხილა. ბევრმა, გერმანელთა მიერ ჩამობარგებული ტექნიკის წყალობით, ტელევიზიით. და მაინც, გუშინ მომხდარის აღწერა დაწურულად და შეჯამებულად გვეწევს.

„დინამო“ — „ბაიერი“ 1:0 — ეს იყო გუშინ. ამ შედეგმა ზოგი დააკმაყოფილა, ზოგს სიხარული მოგვარა, ზოგს მეტადაც დაწყვიტა გული. მოულოდნელობათა გამოსარიცხად საჭირო იყო წინასწარ განსაზღვრა, რა გვსურდა გუშინდელი მატჩისგან, რას ველოდით. ცხადია, ესაც ყველამ თავისებურად განსაზღვრა — შემდეგ ეტაპზე გასვლა ბეცის მეტს არც არავის უოცნებია. ჩვენ გვჭირდებოდა მოგება, შეძლებისდაგვარად შთამბეჭდავი. მოვიგეთ, მაგრამ არა ისე, როგორც შეგვეძლო.

გუშინდელ მოგებას საძირკველი დავით მუჯირმა ჩაუყარა მე-11 წუთზე გატანილი ჯარიმით. მთელი თამაშის მანძილზე ეს საფუძველი, თუ ვინმემ, მანვე გაამყარა... აქ შეიძლებოდა აზრის გაგრძელება, მუჯირს სხვანიც რომ საკადრისად შეშველებოდნენ. ვინ შეეშველა და ვინ ვერა? მოდით, ესა ვთქვათ. ჯერ ცუდი იყოს, კარგი კი ჩაროზად გამოგვადგება.

თუ ვინმემ გუშინ დიდად ვერ ივარგა, ეს „დინამოს“ ნახევარდაცვა იყო. ამათი მიზეზით დაცვასაც მეტი ჯაფა დააწვა და თავდასხმასაც. ფორვარდებს, მუჯირიაშვილს ნახევარმცველობაც უხდებოდათ, ბურთის მოედნის შუიდან ამოტანა და თავდამსხმელობაც — ორივეგან გაისარჯნენ, დიდად სარგებლიანად ვერსად. იმის უთქმელობა არ იქნება, რომ „დინამოს“ შუახაზში ისრაელს წასული ანჩაბაძე და საკონტრაქტო ცულლუტობისთვის დასჯილი გოგიჩაიშვილი გამოაკლდა. შერჩა გუჩუა, კიკნაძე, ნახევარმუჯირი და შემტევთა ფსიქოლოგიის მქონე განაპირა მცველები ჩხაიძე-დიდავა. ამათ გოგობერიშვილი დაემატათ, რომელიც სწორედ უსარგებლო დანამატის განსახიერება იყო. ამათგან ბევრი არც იყო მოსალოდნელი, მაგრამ, მაშინ, როცა დასაკარგი არაფერი იყო, გამუდმებული უკანაპასი გასაკვირი და გაუმართლებელი გახლდათ. ეს არ იყო დროის გაყვანის, ანგარიშის შენარჩუნების სტრატეგია, უფრო უუნარობას წააგავდა. მაგალითად გუჩუა გამოდგება, რომელსაც ჟინს ვერ წაართმევ, სიმხდალესაც ვერ დასწამებ, მაგრამ იმ მიზეზით, რომ ცოდნა (და არა გამოცდილება) არ ჰყოფნის, მთლად უშიშობასაც ვერ დააბრალებ.

გუშინ გუჩუამ ათჯერ მეტი ზუსტი უკანპასი გასცა, ვიდრე წინ. სანთლით საძებნი იყო მის მიერ წინ გადაწოდებული ბურთი, თანაგუნდელს შენარჩუნება რომ არ გასჭირვებოდა. ცხადი იყო, გუჩუა ბურთის მოშორებას ირჩევდა, უმრავლეს შემთხვევაში კი ისე, მეტოქისთვის რომ არ დაეთმო. დაახლოებით ამავეს სჩადიოდა გოგობერიშვილიც, თუმცა ისიც და კიკნაძეც წინსვლას მეტად ცდილობდნენ, მაგრამ ისევ ოპერატიული აზროვნების უუნარობით თამაშს ამუხრუჭებდნენ.

დაცვაზე ცუდი არ გვეთქმის: ჯელაძემ ჰაერში იყოჩაღა, ცქიტიშვილმა დაზღვევაზე ითამაშა, ჩხაიძემ და დიდავამ ვერ შეუტიეს, მაგრამ სამაგიეროდ დაცვაში ბაინლიხ-ლენჰოფი არ გაახარეს. ერთადერთი ეგ იყო, ლობჟანიძე უჩვეულოდ გაურბოდა ორთაბრძოლებს.

თავდასხმას რაც შეეხება, შეუდარებელი რომ ვერ იყო, კინკილა გოლი, ისიც ჯარიმიდან გატანილი, ადასტურებს. თუმცა, ცდა არ დაუკლიათ და უფრორე მუჯირმა იყოჩაღა. ეს ბიჭი მალე შორეული დარტყმებით ისე გაგვანებივრებს, სხვები ამ კომპონენტის დახვეწაზე აღარც იფიქრებენ. გუშინდელ მატჩში მუჯირის ანგარიშზე შორიდან გატანილი გოლი და ერთიც შეძრული ხარიხაა. მუჯირ-იაშვილის დუეტი, შიგადაშიგ კიკნაძის დახმარებით, იმ ეპიზოდებს ქმნიდა, რომელსაც საგოლე მომენტი ვერ ეთქმოდა, მაგრამ გერმანელებს შეტევაზე ფიქრის დროს ესაც უსპობდა.

ავად თუ კარგად, მოვიგეთ. მთავარი ესაა. გერმანელებთან ერთი მოგებაც საქმეა. საქმეა ზედმეტი ქულა და ოდნავად აღდგენილი პრესტიჟი. საქმეა სულიერი სიმშვიდის მოგვრა, მაშინ, როცა ფორიაქი უსაფუძვლოა.

და მაინც ღამეა. ბნელი, გრძელი — პოლარული. ოდესმე გათენდება. რაც მეტად შევყვილებთ, მით მალე და შეუმჩნევლად. მანამდე კი მზიანი ღამეც იქნება. ვინ იცის, შესაძლოა, ჩვენი მზიანი ღამეც ეგ იყო, რაც იყო გუშინ.



გიორგი კიკნაძე კრისტიან ვიორნსს გაურბის

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე შესარჩევი წრე
საპასუხო მატჩები. 27 აგვისტო



# ნიუკასლი ლიგაში ქეცბაიამ გაიყვანა!

თვით ხორვატიის პრეზიდენტი ტუჯმანი ესწრებოდა „კროაციის“ და „ნიუკასლის“ საპასუხო მატჩს. ასპრილიამ პენალტით დააწინაურა სტუმრები, მაგრამ ხორვატებმა ორი შეაგდეს და დამატებით დროსაც მიაღწიეს. აქ ტომასონის ნაცვლად მოედანზე ქეცბაია შევიდა. 120-ე წუთი. მალე პენალტებიც დაინიშნება, მაგრამ ასპრილიამ ქეცბაიას უპასა და — 2:2! ცხელ გულზე სულ ესაა, დაწვრილებით შაბათს იყოს.

*გალათასარაი (თურქეთი)* — სიონი (შვეიცარია) 4:1 (4:1)
**1:0, 2:0, 3:0 ილიე (40, 52, 56), 4:0 ფატიჰი (61), 4:1 კუატარა (70)**
*დინამო (კიევი, უკრაინა)* — ბრონდბიუ (დანია) 0:1 (4:2)
**0:1 კოლდინგი (19)**
მ.პ.კ.ც. (მოზირი, ბელარუსი) — *ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)* 2:2 (0:5)
**1:0 ლევან ბერიშვილი (5), 1:1 ანადოლაკისი (9), 2:1 კუშნირი (19), 2:2 ანდრეას ნინიადისი (იგივე ანდრო კიურჭიევი 54)**
სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) — *კოშიცე (სლოვაკეთი)* 0:0 (1:2)
*ლიერსი (ბელგია)* — ანორთოსისი (კვიპროსი) 3:0 (0:2)
**1:0 ვან მეირი (22 პ), 2:0 ჰაზენჰუტლი (47), 3:0 ჰაგდორენი (84)**
*სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია)* — ბეითარი (ისრაელი) 3:0 (0:0)
**1:0 იორდანოვი (5), 2:0, 3:0 მაზადო (55, 63)**
*სპარტა (პრაღა, ჩეხეთი)* — ზალცბურგი (ავსტრია) 3:0 (0:0)
**1:0 ბარანეკი (28), 2:0 ლოკვენცი (43), 3:0 სვობოდა (66)**
მარიბორი (სლოვაკეთი) — *ბეშიქთაში (თურქეთი)* 1:3 (0:0)
**0:1 მეჰმეთი (45), 0:2 ამოკაში (61), 0:3 თაიფური (62), 1:3 ზიდანი (86)**
სკონტო (რიგა, ლატვია) — *ბარსელონა (ესპანეთი)* 0:1 (2:3)
**0:1 ანდერსონი (50)**
ჯაზი (პორი, ფინეთი) — *ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია)* 1:2 (2:6)
**0:1 ბეტენგი (21), 1:1 ლააკსონენი (37), 1:2 ვან გასტელი (90)**
გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) — *გიოტებორგი (შვედეთი)* 1:1 (0:3)
**1:0 მილერი (24), 1:1 რობერტ ანდერსონი (49)**
კროაცია (ზაგრები, ხორვატია) — *ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი)* 2:2 დ.დ. (1:2)
**0:1 ასპრილია (44 პ), 1:1 სიმიჩი (59), 2:1 ცვიტანოვიჩი (90), 2:2 თემურ ქეცბაია (120)**
*პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი)* — სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი) 5:0 (0:3)
**1:0 2:0 რაი (2 პ, 22), 3:0 სიმონე (32), 4:0 მორისი (41), 5:0 რაი (55)**
*პარმა (იტალია)* — ვიძევი (ლოძი, პოლონეთი) 4:0 (3:1)
**1:0 პედროსი (37), 2:0, 3:0 სენსინი (41, 52), 4:0 ადაილტონი (79)**
*რუსენბორგი (ნორვეგია)* — მტკ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 3:1 (1:0)
**1:0, 2:0 იაკობსენი (14, 16), 2:1 კუტორი (77), 3:1 ბრატბაკი (84)**

## როგორც ამხანაგური მატჩიო

ჟურნალისტები, ცოტა არ იყოს, დავიბენით კიდეც, როცა პრესკონფერენციაზე დაუმთან ერთად დავით ყიფიანიც შემოვიდა, თუმცა, ტრადიციისამებრ, პირველი სიტყვა სტუმარს ეკუთვნოდა:

— „ბაიერისთვის“ მთავარი ლიგაში მოხვედრა იყო, ასე რომ, მიზანს მივაღწიეთ. რაც შეეხება გუნდის თამაშს, როცა მხოლოდ ერთი ფეხბურთელი ირჯება კარგად, დანარჩენი ათი კი დავალებას ბოლომდე არ ასრულებს, რა თქმა უნდა, მთლიანობაში ძლიერი ვერ იქნები. იმასაც გეტყვით, რომ დღეს „დინამო“ უკეთესი იყო. ჩვენ თავი არც მოგვეკლავს. „დინამოში“ ბევრი ახალგაზრდა, იმედისმომცემი ფეხბურთელია. მათ ჯერაც არ დაუსრულებიათ ზრდა და გამოცდილებაც აკლიათ, ამიტომ ახლავე ბუნდესლიგის ძლიერ კლუბებში მოხვედრა გაუჭირდებათ.

ბოლოს კრისტოფ დაუმმა მადლობა გადაგვიხადა, რაღაც მოგვილოცა კიდეც (ნეტავ რა?) და საქმესაც მორჩა.

ყიფიანი: ...ამ თამაშს განვიხილავდით, როგორც მორიგ ამხანაგურ შეხვედრას...

—გუნდში არავის და არაფრის შეცვლას არ ვაპირებ. ლევერკუზენში თამაში წააგო მთელმა გუნდმა, რომელშიც მწვრთნელებიც ვიგულისხმებით, ამიტომ იმ წაგების მარტო ზოიძისთვის დაბრალება უსამართლობა იქნებოდა. ჩვენ რამდენჯერმე ვნახეთ პირველი თამაშის ჩანაწერი, გავარჩიეთ, სწორი დასკვნები გამოვიტანეთ და დღეს უკეთაც გამოვედით. ბიჭებმა დავალება ბოლომდე შეასრულეს...

...46 წელია ფეხბურთში ვტრიალებ და, „ბაიერი“ „დინამოს“ მეტოქეებიდან მეოთხე დიდი გუნდია „ინტერის“, „ლივერპულის“ და „ჰამბურგის“ შემდეგ...

დანარჩენი პასუხები თითო სიტყვით შემოიფარგლებოდა — „დიახ“, „არა“.

**გამუძა ძვანტალიანი**

## წავედით უეფას თასზე

ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის მიუხედავად, თბილისის „დინამო“ ევროთასებზე მონაწილეობას მაინც განაგრძობს და ახლა გადაინაცვლებს უეფას თასზე, სადაც 64 გუნდი შეიკრიბება — ჩემპიონთა თასზე „დინამოსავით“ დამარცხებული 16, უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გამარჯვებული 18, ინტერტოტოს გათამაშებიდან გასული 3 და პირდაპირ უეფას თასის მესამე ეტაპზე დაშვებული 27 გუნდი. ამ ეტაპის წილისყრა, ისევე როგორც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირისა და თასების თასის მეორე ეტაპისა, ხვალ გაიმართება. ჩვენი ჩემპიონის მომავალ მეტოქეთა სავარაუდო სია ერთობ შთამბეჭდავია — 4 იტალიური (ინტერი, ლაციო, სამპდორია და უდინეზე), ოთხი ესპანური, ოთხი გერმანული თუ სხვა სახელიანი კლუბები, მათ შორის ერთ დროს ჩვენს მიერ ძლეული „ლივერპული“ და შოთა არველაძის „აიაქსი“. წილისყრის სრულ შედეგებს, ტრადიციულად, შაბათის „სარბიელში“ იხილავთ, ხოლო ყველაზე ცნობისმოყვარე მკითხველებს, ტრადიციულადვე, შეუძლიათ ხვალ, 16 საათის შემდეგ დარეკონ ჩვენს რედაქციაში

**39 48 29**

და ოპერატიულად შეიტყონ „დინამოს“ (თუ დღეს ერევანში სასწაული მოხდა, „ბათუმისაც“) მომდევნო მეტოქის (ღმერთმა ქნას, მეტოქეთა) ვინაობა.

## ფუხშლ

ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. IV ტური. ბარნსლი — ბოლტონი 2:1, უიმბლდონი — ჩელსი 0:2, ქოვენტრი — ვესტ ჰემი 1:1, ევერტონი — მანჩესტერ იუნაიტედი 0:2, ლესტერი — არსენალი 3:3, ტოტენ-ჰემი — ასტონ ვილა 3:2, საუთჰემპტონი — კრისტალ პალასი 1:0

# ვინ არის დამნაშავე?!

დღეს საღამოს „ბათუმი" „რაზდანზე" გავა. ძნელი დასაჯერებელი გახლავთ, რომ ბათუმელებმა შეძლონ დაკარგულის ანაზღაურება. თავად კი გვარწმუნებენ, ამისთვის ყველაფერს ვილონებთო, მაგრამ ფაქტია, თავდაპირველი ალტყინება გაქრა.

„ბათუმს" რომ საქმე დაემართა, იმაზე უამრავი ითქვა, ბევრი დაიწერა და მეტიც არის მოსალოდნელი, მაგრამ ოფიციალურად ჯერჯერობით არავის უთქვამს, მომხდარი ჩემი ბრალია და პასუხისმგებლობას მე ვკისრულობო. მაინც ვინ არის დამნაშავე, ვისი ბრალია ყოველივე? ალბათ მაინც ჩვენებური, ქართველი გულარხეინობა გახლავთ ყოვლის მიზეზი. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ არავინ არას ნაღვლობდა. მერე კი, უეფას დელეგატმა და მსაჯებმა დაგვლუპეს, ამათ რომ გავეფრთხილებინეთ, არც არაფერი მოხდებოდაო. სინამდვილეში კი ირკვევა, რომ ყველამ ყველაფერი იცოდა. უეფადანაც გაფრთხილებულები ვყოფილვართ და ერთმანეთის იმედად მყოფებმა საკეთებელი ნაადრევადვე მივიწყეთ.

უეფამ კი დაგვსაჯა. დაგვსაჯა სამაგალითოდ, ისე, რომ სამი მშრალი გოლის გატანაც ვერას გვიშველის. აპელაციაც სულ ტყუილად, აშკარაა, ნამუსის მოსახდელად თუ თვალის ასახვევად შევიტანეთ და საქმეც სულ გავირთულეთ. ბუნებრივია, საინტერესო იყო, რა ხდებოდა ჩვენი საქმის გარჩევისას, ვინ გადაუხადა უეფას აპელაციის შესატანად საჭირო თანხა, ან გვქონდა კი რაიმე ხელჩასაჭიდი ფაქტი, სულ მცირედით მაინც რომ გაგვამართლებდა. ეს კითხვები თავისთავად იბადება და პასუხისთვის ისევ ფედერაციას მივაკითხეთ. უეფაში წარგზავნილი ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი დათო პეტრიაშვილი შვეიცარიიდან ჯერაც არ დაბრუნებულიყო და, ბუნებრივია, ამ კითხვებზე ვერავინ გვიპასუხებდა.

კითხვები, ამათ გარდა, სხვაც იყო და უფრო საინტერესოც: მისული იყო თუ არა უეფადან ფედერაციაში გამაფრთხილებელი ფაქსი, ვის ევალებოდა გაეფრთხილებინა „ბათუმი" და საერთოდ, როგორ კომენტარს გაუკეთებდა ამ ამბავს ჩვენი ფედერაცია.

ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები ჯერჯერობით საკითხს ღიად ტოვებენ. მათი ვერსია ასეთია — „ბათუმმა" ჯერ „რაზდანზე" ითამაშოს, ყველაფერი გაირკვეს და მერე ჩვენგან იქნება ოფიციალური პასუხიო. გვპირდებიან, რომ „ბათუმთან" დაკავშირებულ ყველა საკითხს საგანგებოდ განიხილავენ და შესაბამის განაჩენსაც გამოიტანენ.

რადგან ასეთი ვითარებაა და ისევ ლოდინი გვიწევს, ისღა დაგვრჩენია, მკითხველს ჩვენეული კომენტარი ვაახლოთ. ვინ არის დამნაშავე?! ფედერაციის ვერსიით, დამნაშავეა ყველა, ვინც ამ საქმეში „გაერია", მათ შორის უეფაც. უეფა კი თავისას ამტკიცებს — მე ჩემი მოვალეობა პირნათლად შევასრულე, ყველაფერი გაცნობეთ, გაგაფრთხილეთ და რაც დაგემართათ, თქვენს თავს დააბრალეთო. არა, ამათი გამტყუნება ჩვენს არეულ საქმეს ვერაფერს შემატებს, მით უმეტეს, ზემდგომია, კანონის ძალით გველაპარაკება და რაც უნდა ეცადო, თმის ღერსაც ვერ შეურხევ. თუ არ მოვისვენებთ და ზედმეტად შევაწუხებთ, უარეს დღესაც დაგვაყრის. დამნაშავენი, სჯობს ისევ ჩვენში ვეძიოთ.

ისევ ფეხბურთელით დავიწყებ. დათო სოლოღაშვილს უნდა ხსომებოდა, რომ ორი ყვითელი ბარათით იყო დასჯილი. დათოს, როცა „კოლხეთიდან" მიდიოდა, მის შესახებ არსებული ყველა საბუთი უნდა მოეძიებინა. მარტო პასპორტის და განთავისუფლების ქაღალდის წაღება საქმეს რომ ვერ შველის, ცხადლივაც გამოჩნდა.

პასუხისმგებლობის გარკვეული ნაწილი ფეხბურთელის ახლანდელმა და ყოფილმა კლუბებმაც უნდა იტვირთონ. „ბათუმმა" ხომ იცოდა, რომ სოლოღაშვილმა ინტერტოტოზე ითამაშა, ამიტომ ახალწვეულის თაობაზე ყველა ინფორმაცია უნდა შეეგროვებინა. თუმცა, ამისთვის ვის ეცალა, სეზონის წინ გუნდის ყოფნა-არყოფნის საკითხი უფრო მწვავედ იდგა, ვიდრე დანარჩენი. კოლხებს რაღა დაემართათ? აკი აღიარებენ, უეფადან გაფრთხილება მაშინვე მივიღეთო, ის კი არა, ამტკიცებენ, სოლოღაშვილი ჩვენთან რომ დარჩენილიყო, მინსკელებთან უცილობლად მინდორზე გვეყოლებოდაო. კაი ჩიტსაც დაიჭერდნენ, ღმერთმანი. მაინცდამაინც სეიფის ძირში უნდა ჩაგვეგდო ის ოხრად-დასარჩენი გაფრთხილება თუ პირიქით — სადმე ხელთან ახლოს უნდა ყოფილიყო, რათა არაფერი გამოგვრჩენოდა? ჩვენს წამყვან კლუბებს, თუ ასეთები შემოგვრჩა, შტატში აუარება ხალხი ჰყავთ. ადმინისტრატორები, ტექნიკური დირექტორები, გუნდის უფროსები და კიდევ მრავალი სხვა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თავის საქმის ფრიადზე მცოდნეები თითო-ოროლა თუ იქნება. აბა, მაშ რაღა გვიკვირს?

და ბოლოს: პასუხიმგებლობის მეტი წილი, მაინც ასე მგონია, ჩვენმა ფეხბურთის ფედერაციამ უნდა იტვირთოს. ყველა რომ დაბრმავებულიყო, ყველას რომ ყველაფერი დავიწყებოდა, ფედერაცია ვალდებული გახლდათ, საქმეს არსი სცოდნოდა. ფედერაციას შეცდომის უფლება არ ჰქონდა. დღემდე ვერავინ დაგვარწმუნებს და ძნელი დასაჯერებელიც არის, რომ ფედერაციას უეფასგან ფაქსი არ მიუღია. მიიღო, ეჭვი არაა, მიიღო, თანაც ძალზედ ოპერატიულად, ადრიანადვე, მაგრამ მისი არსებობა როგორც დანარჩენებს, ისე ფედერაციასაც დაავიწყდა. დაავიწყდა და ახლა დანათესს ვიმკით.

და მაინც, ყველა დღევანდელ დღეს ელის. „ბათუმი" „რაზდანზე" გავა და... თუ „ბათუმი" გათამაშებას გამოეთიშა, ამბობენ, უსიამოვნებები დატრიალდებაო. კერძოდ, მრარულ ხმებს თუ დაევჯერება, „ბათუმი" ჩივილს აპირებსო. რა აქვთ საჩივლელი? რა და, გათამაშების მომდევნო წრეში ვერგასვლით 80 ათას ფრანკს ვკარგავთ და კეთილი ინებეთ, აგვინაზღაურეთო. ვინ აუნაზღაურებს? რა თქმა უნდა, არა უეფა. გამოდის, სარჩელს ფეხბურთის ფედერაციას წაუყენებენ და მთლად აირევა მონასტერი.

ბევრი რაღა გავაგრძელოთ და წინ მოუსვენარი მშფოთვარე დღეები გველის. იმედი ვიქონიოთ, ყველაფერი დალაგდება, მტყუან-მართალიც გაირკვევა და ყველა თავის ყოველდღიურ ცხოვრებას დაუბრუნდება, მაგრამ ერთი რამ უცხადესია — სანამ ჩვენს ფეხბურთში ამნაირი უთაობა იბოგინებს, სანამ ყველა თავის საქმეს არ მიხედავს და დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად არ შეასრულებს, მანამ წინსვლა არ გველირსება. და კიდევ: ნუ შევეტოლებით ფრანგებს და მათსავით განვითარებულ საფეხბურთო ქვეყნებს, ჩვენ ჩვენი ვიტიროთ და იმას ვეცადოთ, ჩვენივე გაუკუღმართებული წალმართად მოვაქციოთ.

**მამუკა ქვანტალიანი**


# ბავშვთა კვება
# Gerber
ახალი სიცოცხლის
უმშვენიერესი დასაწყისი
ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული
ლიდერის გერბერის პატარა ქილებში
თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა


კობა ინასარიძე
ერევნიდან



# ბათუმი საბაჟომაც დასაჯა

ერევანში ჩამოსულებს მე და ჩვენს ფოტორეპორტიორს გურამ დოლენჯაშვილს სასტუმრო „არმენიას" ფოიეში ორი ხნიერი კაცი დაგვხვდა, ერთი „არარატის" ადმინისტრატორი გახლდათ, მეორე აქაური კოლეგა. ეტყობა, იგუმანეს, ქართველები რომ ვიყავით და გამარჯობის შემდეგ პირდაპირ გვკითხეს, „ბათუმი" სად არისო. გაკვირვებულებმა შევხედეთ, ჩვენ რა ვიცით, სასტუმროს ადმინისტრატორი გეტყვითო, ვუთხარით. დაბნეულმა მასპინძლებმა კი ესღა დაიჩივლეს, სადილი 3 საათისთვის შევუკვეთეთ, რესტორანში სუფრა გაწყობილია, თქვენები კი არსად ჩანანო. ამასობაში 6 საათმაც მოატანა და მდინარე რაზდანის ნაპირას მდებარე მართლაც მშვენიერ სტადიონზე „არარატის" ვარჯიშს დავესწარით. სომხებს რა ენაღვლებოდათ, წარსულში ცნობილ ფეხბურთელ კეგეიანიდან დაწყებული, რომელიც ახლა „რაზდანის" დირექტორია, ფეხბურთელებით დამთავრებული, ყველა კარგ ხასიათზე იყო. სიცილ-კისკისით წაივარჯიშეს. ერთი-ორჯერ დაურტყეს აბრამიანს და მორჩნენ. არკადი ანდრიასიანმა კი ახალგაზრდობა გაიხსენა და ფეხბურთელების შემდეგ თვითონ გაავარჯიშა მეკარე. აშკარად ეტყობოდა, არაფერზე დარდობდა, ბოლოს მცირე ინტერვიუზეც დამთანხმდა:

— **შემდეგ ეტაპზე გასვლის ასეთ შანსს ალბათ ხელიდან არ გაუშვებთ...**

— არა, რა თქმა უნდა. ეგ კი არა, ჩვენი მიზანი გამარჯვებაა. ბლომად გოლების გატანა გვინდა. დარწმუნებული იყავით, „არარატი" დაცვაში არ ჩაჯდება, პირიქით — შევუტევთ.

— **ჩემპიონატის ბოლო მატჩი ძალიან ცუდად გითამაშიათ...**

— კი, მართლაც ასე იყო, მაგრამ ხვალისთვის კარგად მომზადებულები ვართ. პორტუგალიასთან თამაშისას ოგანესიანმა ოთხი არარატელი მიიწვია, ოთხიც ახალგაზრდულში იყო გამოძახებული და იქიდან გადაღლილები ჩამოვიდნენ.

— **4:2-ზეც ასე მშვიდად იქნებოდით?**

— ვერაფერს გეტყვით. ისე კი, კარგია, ასეთი სასიამოვნო სიურპრიზი რომ მოგვიმზადა „ბათუმმა". ყველაფერი მათივე უთავბოლობის ბრალია. არ დაემატებინათ ფეხბურთელები ჩვენთან თამაშამდე და გაუგებრობაც არ მოხდებოდა. აი, ჩვენ, მაგალითად, ბათუმელებთან ისეთივე შემადგენლობით ვითამაშეთ, როგორიც შარშან გვყავდა...

ანდრიასიანთან საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. თანაც შევატყვე, ცალყბად რომ მპასუხობდა, ცალი თვალი სხვებისკენ ეჭირა და ჩემთან ერთად იმათაც ელაპარაკებოდა. მოკლედ, სულ ეს იყო, რაც ანდრიასიანმა თქვა, სხვა კი ეს შევიტყვე: დღევანდელ მატჩზე დასასწრები ბილეთების ფასი მაქსიმუმ 1000 დრამი იქნება (2 დოლარი), თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, 73-ათასიანი „რაზდანი" ნახევრად მაინც შეივსოს. არადა, სტადიონი მართლაც რომ ჩინებულია, ყველაფერი მზადაა მატჩისთვის და ფეხბურთელებსაც მხოლოდ თამაშზე მოუწევთ ფიქრი, რომელსაც სომხეთის ტელევიზია პირდაპირ ეთერში გადასცემს.

„რაზდანიდან" გამობრუნებულებმა ბათუმელების ნახვა მოვიწადინეთ, მაგრამ მათი ავტობუსები სასტუმროს რომ მოადგა, მძღოლის გარდა შიგ არავინ იყო. ფეხბურთელები გზად, სტადიონზე დარჩენილან სავარჯიშოდ. ჩვენც დრო არ დავკარგეთ და ისევ „რაზდანს" მივაშურეთ. ჩვენები გახურებულ ვარჯიშში იყვნენ. ჯერ ორი კარი ათამაშა ჭეიშვილმა ფეხბურთელებს, შემდეგ კარშიც დაარტყმევინა, ბოლოს კი უბურთოდ არბენინა. ჩვენები, მართალია, ცოტა მოწყენილად გამოიყურებოდნენ, მაგრამ დაღლილობისა არაფერი ემჩნეოდათ, რაც თითქმის თორმეტსაათიანი მგზავრობის შემდეგ გასაკვირი სულაც არ იქნებოდა. დაგვიანების მიზეზი ავტობუსის ორი (!) საბურავის დაზიანება და ნინოწმინდის საბაჟოს მუშაკები ყოფილან. პირველად თურმე საბურავებმა უმტყუნათ, მეორედ კი მებაჟეებმა. როგორც ბათუმელებმა გვითხრეს, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ფეხბურთელებს ფული გადაახდევინეს, აქაოდა და, ერევანში კარანტინია და ამისთვისო. თუმცა, სომეხ მებაჟეებს მსგავსი არაფერი უთქვამთ, პირიქით, ძალიან თბილად დახვდნენ და ასევე გამოისტუმრეს. ერთი სიტყვით, „ბათუმი" ჩვენივე მებაჟეების „წყალობით" ერევანში კიდევ უფრო დაგვიანებით ჩამოვიდა, გაივარჯიშა და აქვე მდებარე სასტუმრო „სოვეტსკაიაში" დაბინავდა. მეტი საინტერესო არაფერია, დანარჩენი შაბათს იყოს... ისე ეგება, პარიზელებს მივბაძოთ და...

# 7 სექტემბერს, რუსთავში



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ვახტანგ კოპალეიშვილი

სექტემბერში ჩვენებურ ფეხბურთის გულშემატკივარს მოსაწყენად სად ეცლება. აქეთ ნაკრებები, იქით „დინამო". მოკლედ, თამაშები და ნაირ-ნაირი გუნდები არ მოგვაკლდება. სულ სხვა საკითხი გახლავთ, რამდენ სიხარულს მიანიჭებს ეს ქართული ფეხბურთის ქომაგთ. კაცი იმედით ცოცხლობსო, იტყვიან და ეს მაინც არ მოგვშლოდეს.

პირველნი ბრძოლაში ვახტანგ კოპალეიშვილის ბიჭები ჩაებმებიან. ჩვენი თვრამეტწლამდელები ევროპის ჩემპიონატის მესამე შესარჩევ ჯგუფში რუმინეთს, მაკედონიას და საბერძნეთს შეეტოქებიან. 7 სექტემბერს რუსთავში რუმინელები გვესტუმრებიან. ეს თამაში ბათუმში უნდა გამართულიყო, კოპალეიშვილი და კაცია ამისთვის ემზადებოდნენ კიდეც და შეკრებაც ჰქონდათ დაგეგმილი. ურეკშიც ყველაფერი მზად ყოფილა, მაგრამ რუმინელებს ერთი ამბავი აუტეხავთ, ბათუმში თვითმფრინავით ვერ ჩავდივართ, ხელი გვეშლებაო და ჩვენს ზემდგომ ორგანოებსაც შემოუთვლიათ, იქნებ მოახერხოთ და სტუმრები სხვაგან მიიღეთო. მოვახერხეთ კიდეც, ოღონდ ეგ არის, ჩვენს მწვრთნელებს შეეშალათ ხელი საწვრთნელ პროცესში.

როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვახტანგ კოპალეიშვილმა გვითხრა, რუმინელებთან საპაექროდ 18 ფეხბურთელს გამოიძახებს, მათ შორის კი რამდენიმე ლეგიონერიც იქნება. რადგან გუნდის გეგმები შეიცვალა, მწვრთნელებმა ნაკრების კანდიდატები თავიანთ გუნდებში გაუშვეს. ჩვენები 1 სექტემბერს დაიწყებენ შეკრებას, რომელსაც ფეხბურთის ფედერაცია თბილისში მოუწყობს.

ძნელი თამაშები გველის და სერიოზული მზადება გვმართებს — გვითხრა ვახტანგ კოპალეიშვილმა. ყველა მეტოქე ანგარიშგასაწევია, ამიტომ ყოველ თამაშზე სრულად მობილიზებულნი გავალთ და თავგანწირვით ვითამაშებთ. შედეგს კი მომავალი გვიჩვენებს.

გულშემატკივარს კარგად მოეხსენება, რომ კოპალეიშვილის ნაკრები ერთადერთია ჩვენში, რომელსაც არც ერთი ოფიციალური მატჩი არ წაუგია. ღმერთმა ქნას, ტრადიცია არც ამ შესარჩევ ციკლში დარღვეულიყოს, რისი იმედიც არცთუ მცირე გვაქვს.

**მამუკა ქვანტალიანი**

## საქართველოს თასი

წინასწარი ეტაპის წილისყრა
29 აგვისტო

**განმუხური (ენგური) — ოდიში 2 (ზუგდიდი)**
**სამგურალი 2 — დინამო (გაგრა)**
**შუქურა (ქობულეთი) — ეგრისი (სენაკი)**
**ტორპედო 2 — ოქროს საწმისი (ქუთაისი)**
**დურუჯი — ჭაბუკიანი**
**შირაქი (დედოფლისწყარო) — ალაზანი**
**ალგეთი (მარნეული) — მარტყოფი**
**იბერია (თბილისი) — სტუ 35**
**ლოკომოტივი 2 — თსუ 2**
**დინამო 2 — ბაია ჯიქები (ბიჭვინთა)**
**ვარძია (ასპინძა) — მესხეთი**
**დილა 2 — ჟინერი**

ამ ეტაპზე გამარჯვებული ერთი მატჩით გამოვლინდება.

# პრეზიდენტი მწვრთნელებს ემუქრება, მწვრთნელი კი წამოსულა...



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ანზორ გძელიძე

ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის ადრე გადადებული სხდომა, როგორც იქნა, 26 აგვისტოს შედგა. მოგეხსენებათ, მთავარ საკითხად „სიონი" — „კოლხეთის" სკანდალური მატჩი იყო. შეხვედრა 2:2 დამთავრდა, მაგრამ ვაი ასეთ დამთავრებას: ბლომად იყო არასაფეხბურთო ექსცესები, გაწევ-გამოწევა, უმისამართო თუ მისამართიანი გინება და, რაც ყველაზე მთავარია, თანამსაჯი სამხარაძე გალახეს. ბოლნისური თამაშის პერიპეტიები თავის დროზე ოპერატიულად გაუწყეთ და ამ უსიამო ამბავთა თხრობით თავს აღარ შეგაწყენთ, მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რაც სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე მოხდა.

ამ საქმის გარჩევამ გვარიანი დრო წაიღო. მოუსმინეს ყველას და მოისმინეს ყველაფერი. სხდომას ენებათაღელვა არ მოჰკლებია, საბოლოოდ კი ეს დაადგინეს:

თანამსაჯ სამხარაძის ხელყოფისთვის „სიონს" 5 ქულა ჩამოაკლდეს, თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონს კი პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლნისელები ჩემპიონატს მინუს ოთხი ქულით გააგრძელებენ, ხოლო თუ „სიონის" საშინაო შეხვედრებისას უმნიშვნელო ინციდენტი მოხდება, მაშინ ბოლნისური გუნდი გათამაშებიდან მოიხსნება.

ახლა იმაზე ვთქვათ, თუ რა მოჰყვა ამ გადაწყვეტილებას. ბოლნისელები ფეხბურთის ფედერაციას მთლად კარგი თვალით არ უყურებენ და შარშნდელი „სიონი" — „კოლხეთის" აურზაურის მერე ხშირად აუგადაც იხსენიებენ. ცეცხლზე ნავთს სტუმრად თამაშისას „სიონისთვის" არც თუ მთლად სასურველი მსაჯობა აპკურებს. ასე რომ, სიტუაცია ტურიდან-ტურამდე იძაბება. მიუხედავად ამისა, სადისციპლინო კომიტეტის გუშინწინდელი გადაწყვეტილება ბოლნისური კლუბის თავკაცებმა ობიექტურად მიიჩნიეს. კლუბის პრეზიდენტი შუქრი დევნოზაშვილი მთელ პასუხისმგებლობას „სიონის" მწვრთნელებს აკისრებს. აქაოდა, გუნდში დისციპლინა მოიკოჭლებს და რა ხდება, კაციშვილი ვერ გაიგებსო. ეს კი არა, თუ „სიონი" უახლოეს სამ მატჩში ქულათა მაქსიმუმს არ მოაგროვებს, მაშინ პრეზიდენტი მწვრთნელების განთავისუფლებითაც იმუქრება.

„სიონში" არსებული რთული ვითარება ამ საკითხთა განხილვით არ ამოიწურება. კლუბის პრეზიდენტი შუქრი დევნოზაშვილი დანაქადნს ალბათ ვერ შეასრულებს. თუ მოარულ ხმებს ვერწმუნებით, „სიონის" მთავარი მწვრთნელი ანზორ გძელიძე გუნდიდან თავისი ნებით წამოსულა და თანამდებობიდან გადადგომის ფურცელი ბოლნისს გაუგზავნია. ეს ამბავი გძელიძეს ჩვენთან საუბარში არ დაუდასტურებია, თუმცა, ტყუილიაო, არც ის უთქვამს.

უკმაყოფილებას კლუბის ფეხბურთელებიც არ მალავენ და ამის ძირითად მიზეზად სამი თვის ანაზღაურების გადაუხდელობას ასახელებენ. მოკლედ, შენელებული მოქმედების ნაღმმა მოქმედება დაიწყო, არადა, „სიონის" დაშლა თუ გადაკეთება ახლა საქმეს არ წაადგება. მართალია, გუნდი ჩემპიონატისთვის სამზადისს გვიან შეუდგა და პირველი მატჩები სათანადოდ ვერ ჩაატარა, მაგრამ ბოლო ტურში ბოლნისელთა პროგრესი აშკარა იყო — გუნდმა ჩამოყალიბება-შეთამაშება დაასრულა, გამარჯვებებიც უნდა ქჩეიმა, მაგრამ...

დღეისთვის სულ ესაა. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და დაზუსტებულ-დამტკიცებულ ინფორმაციებს „სიონის" ბედ-იღბალზე შემდეგ ნომრებში გაახლებთ.

**მამუკა ქვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ისინი

„სარბიელის“ „მუშა ჯგუფში“, რომელსაც ლევერკუზენის „ბაიერის“ წევრთა მატჩის წინა დღეს მონახულება და პრესკონფერენციაზე დასწრება ჰქონდა დავალებული, ლაშა გოდუაძე, ონისე შინჯიკაშვილი და მე შევდიოდით. სასტუმრო „მეტეხში“ მისულს კოლეგები უკვე იქ დამხვდნენ, ინგლისელ მსაჯებთან პრე-



„ბაიერის“ ფიურერები: ფიოლერი, კელმუნდი და დაუმი

მიერლიგაზე გასაუბრებაც მოესწროთ და სავარძლებში ჩაფლულნი გერმანელებს ელოდნენ. პრესკონფერენციამდე ორ საათზე მეტი რჩებოდა, ფოიეში კი ბანქოს მოთამაშე ოთხი მსაჯის, დინამოელთა წარმომადგენლებისა და ორიოდე ქართველი ჟურნალისტის მეტი არავინ ჩანდა. უსაქმურობაში დრო ზანტად მიიზლაზნებოდა, ამიტომ რომელიმე გერმანელ ფეხბურთელთან დარეკვა და ქვემოთ ჩამოპატიჟება გადავწყვიტეთ. ეს მისია ლაშამ იკისრა და დანიის ნაკრების წევრ იან ჰაინცეს დაუკავშირდა. იანი, როგორც შემდგომ გავარკვიე და ქვემოთაც მოგითხრობთ, საოცრად გულღია კაცი გამოდგა, მაგრამ იმ ჯერზე ეს მოგვიგო — ახლა მძინავს, როცა დრო მოვა, გავიღვიძებ და ჩამოვალო. არადა, ხმა ნამძინარევისას სულაც არ უგავდა. სხვებსაც მასავით „ეძინათ“ — ნაცნობი სახეები აივნებზე ჩნდებოდნენ და მსწრაფლ უჩინარდებოდნენ.

თავმოყვარე გუნდი, მით უმეტეს გერმანული, რეჟიმს არ დაარღვევს. ახლა მათთვის განრიგით „მკვდარი საათი“ იყო, ამიტომაც ისინი ჩვენთვისაც ფაქტობრივად „მკვდრები“ იყვნენ. მოახლოვდა დათქმული დრო და იწყეს სტუმრებმა „აღდგომა“.

### რუდი

ფიოლერი კარგი ფეხბურთელი იყო, არც პიროვნება ყოფილა ურიგო. ყოველ შემთხვევაში, თავი ასე წარმოაჩინა. გერმანელთაგან სწორედ ის გამოჩნდა პირველი სასტუმროს ფოიეში და დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. რუდიმ პირზე ჰოლივუდური ღიმილი მიიკერა და ავტოგრაფების დარიგებას შეუდგა. მასთან სურათის გადაღების მსურველებსაც არეუბნებოდა უარს.

როცა „შპორტ-ბილდში“ წავიკითხე, ფიოლერმა „ბაიერში“ მუშაობა დაიწყოო, ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა მისი თანამდებობა — მენეჯერ-დირექტორი. თურმე არც არაფერს ნიშნავს. რუდი კლუბში ფიოლერად მუშაობს — გუნდს დაჰყვება, იღიმება და ფოტოებს იღებს, თავს ამით უბედურად ნაღდად არ გრძნობს. ჩემპიონთა ლიგაში „დინამო“ გავა თუ „ბაიერი“-მეთქი, ვეხუმრე. წამით ღიმილი გაუქრა სახიდან და ნაღვლიან-საყვედურიანი თვალებით შემომხედა — ხომ ხედავ, ჩემი მოვალეობა კეთილგანწყობის ატმოსფეროს დანერგვაა, შენ კი, აბა, რაებს მეკითხებიო. სიტყვიერად კი ეს მითხრა: ბურთი მრგვალია, ხვალინდელ დღეს დაველოდოთ, ისე კი გამარჯვების იმედი და სურვილი დიდი გვაქვსო. პრესკონფერენციაზეც გერმანელთა მას-მედიის წარმომადგენელმა ფიოლერი ფიოლერად გაგვაცნო, გუნდში მრჩევლად მუშაობსო, ოღონდ ვის ურჩევს და რას, ეს აღარ დაუკონკრეტებია.

### ცრუ მარიაჟი, ცნობისმოყვარე სკანდინაველი და სხვები

პრესკონფერენციის შემდეგ ვარსკვლავთცვენა დაიწყო. „ბაიერის“ ფეხბურთელები გამჭირვალე ლიფტით მიწას ენარცხებოდნენ, ცოტა ხანს ხალხში გაერეოდნენ და ავტობუსისკენ მიექანებოდნენ. მოსალოდნელ მატჩზე საუბარს ყველა ზრდილობიანად თავს არიდებდა, ამიტომ ზოგად თემებზე საუბრები ვარჩიე. თავიდან გუნდის კაპიტანი *ნოვოტნი* მოვიხელთე.

**— ჩრდილოირლანდიელებთან კონაღამ წააგეთ...**

— ულფ კირსტენმა ორი ნაღდი მომენტი გააფუჭა და ამან წაგვიხდინა ხასიათი, შეცვლაზე შემოსული ბირჰოფის გოლის შემდეგ კი დავწყნარდით და გავიმარჯვეთ.

**— თქვენს ჯგუფში პორტუგალია და უკრაინაა. რომელი გუნდია უფრო ძლიერი?**

— მიჭირს ამ კითხვაზე პასუხი. ყოველ კონკრეტულ მატჩში ისინი სხვადასხვა დონეზე თამაშობენ.

*ბაინლიხმა* ავტოგრაფები დაარიგა, ძალიან მეჩქარება, ავტობუსში მაგვიანდებაო, მითხრა და გაიქცა. სამაგიეროდ, ორი ბრაზილიელი შეჭოვნდა კარგა ხანს — *ემერსონი* და *რინკი*. ემერსონი თანამემამულეზე გაცილებით შავი იყო და ალბათ თავი უფრო ამაყად ამად ეჭირა, გერმანულად კი თითქმის ვერ ლაპარაკობდა. ბრაზილიის ნაკრებში თამაშს არ აპირებ-მეთქი, ვკითხე. ნაკრებში ხომ ვთამაშობო — მიპასუხა. აქ ონისემ სიტყვა შემაშველა, არ დაუჯეროო, ტყუისო. სახეზე გაოცება გამომეხატა, ბრაზილიელი მიხვდა, ცრუპენტელობაში რომ ვამხილეთ, სახეზე წყენა დაიხატა და განმერიდა.

ყველა ფეხბურთელი კარგ გუნებაზე იყო, მაგრამ მათ შორის ერთი მაინც გამოირჩეოდა — ეს *იან ჰაინცე* გახლდათ. იღიმებოდა და ურთიერთობას ლამობდა. თავიდან სიტყვა დანიის ნაკრებზე ჩამოვუგდე.

**— ეს როგორ წააგეთ ბოსნიასთან 0:3?**

— ჩვენივე შეცდომებს შევეწირეთ. რომ გამოვფხიზლდით, ანგარიში უკვე კატასტროფული იყო...

**— ჩემპიონთა ლიგაში რა გეგმები გაქვთ?**

— იქ ჯერ უნდა მოვხვდეთ.

**— გგონია, „დინამო“ შეძლებს თქვენ ისე დამარცხებას, რომ თავად მოხვდეს ლიგაში?**

ამ კითხვას თავაზიანმა დანიელმა ნაწილობრივ თავი აარიდა და მიპასუხა — „დინამო“ კარგი, ახალგაზრდული გუნდია და ჩემპიონთა ლიგაში თუ არა, უეფას თასზე უნდა გამოვიდეს შედეგიანადო. მერე მკითხა, ხვალ რამდენი გულშემატკივარი მოვა, 70 თუ 80 ათასიო.

ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვინც მოვა, თქვენი გუნდის კარგი თამაშის საცქერლად მოვა, თუმცა „დინამომაც“ შეიძლება ჯიგრიანად ითამაშოს-მეთქი. ქართველ ფეხბურთის გულშემატკივარს უნიათო თამაშით არ გავაწბილებთ, თუმცა ეს დინამოელთათვის სასიხარულო ნაღდად არ იქნებაო, დამპირდა ჰაინცე და მწვრთნელის „გავლენის სფეროში“ გადაინაცვლა.

### გაუღიმარი

ალბათ ლენინი თუ უყურებდა ბურჟუაზიას ისე, როგორც კრისტოფ დაუმი დაუპატიჟებელ ჟურნალისტებს უმზერს.

ამ კაცთან მეტნაკლებად ექსკლუზიური ურთიერთობა ქართველი ჟურნალისტებიდან ჯერჯერობით მხოლოდ მე შევძელი. ამიტომაც თავს დაუმოლოგად მივიჩნევ და ჩემს მცირედ დაკვირვებებს მოგახსენებთ.

კრისტოფ დაუმი ნამეტანი პატრიოტია — ინგლისურის გაგონებაც არ უნდა. არ უყვარს, როცა გაუთვალისწინებელზე მეტად აწუხებენ, ამიტომ ისე გადაადგილდება დროსა და სივრცეში, რომ წინ დაბრკოლება არ შეხვდეს. ამისათვის მას ვინმე მიუძღვის, რომელიც გზას უსუფთავებს, ოღონდ სხვათა თვალთა-



დაუმი ჩინებულ ხასიათზეა

გან შეფარულად. მაგალითად, რამდენიმე წამით ადრე მიდის ლიფტთან და ღილაკს აჭერს თითს.

უბრად დაუმი არა მხოლოდ უცხოტომის ჟურნალისტებთან ყოფილა. გერმანელი კოლეგები, დაუმთან ინტერვიუს თაობაზე რომ დავეკითხე, საუბარს ჯერ შორისდებულებით იწყებდნენ, შემდეგ კი მეუბნებოდნენ — თუ წინასწარ ოფიციალურად არ შეთანხმებიხარ, არაფერი გამოგივაო...

პრესკონფერენციის შემდეგ დაუმი ლიფტისკენ მიემართებოდა. იქ უკვე მისი თანაშემწე დადარაჯებული იყო. „ჰერ დაუმ, გაზ...“ „არანაირი ინტერვიუ“ ჩაიბურტყუნა და გამოიხედა, ნაბიჯი შეანელა, „გაზეთი „სარბიელი“ — დაამთავრა ჩემი სიტყვები და ისევ აჩქარდა. კარგი მახსოვრობა ჰქონია, მივდევ და ვეკითხები — არ გაუჭირდებათ ფეხბურთელებს მობილიზება მატჩისთვის, როცა ისინი უკვე ჩემპიონთა ლიგაში გრძნობენ თავს?

— ჯერ „დინამოს“ ბაიერი გვაქვს გადასალახი, ყველა სრული სერიოზულობით ეკიდება ხვალინდელ შეხვედრას.

დაუმის მისვლა და ლიფტის კარის გაღება ერთი იყო. მწვრთნელი კაბინაში შევიდა და ზეცაში აიჭრა.

**ერეკლე ქიქილაშვილი**

# სამშაბათი თბილისში: ასპირინით და შოკოლადებით

სამშაბათს შუადღისას კოლეგებთან ერთად საქართველოს თითქმის ყველა უცხოელ სტუმრის მასპინძელ სასტუმრო „მეტეხს“ მივაშურეთ, სადაც ლევერკუზენელი ფეხბურთელები გვეგულებოდნენ. მიზანი ცხადია — მათთან გასაუბრება და მოგვიანებით გასამართ პრესკონფერენციაზე დასწრება. მივედით თუ არა, სტუმრები მოვიკითხეთ, გვითხრეს, დაახლოებით ათი წუთია, რაც გავიდნენო. პასუხმა დაგვაღონა, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხეთ და მოთმინებით დავიწყეთ ლოდინი. დიდხანს არ გვიცდია — ნომრიდან ლევერკუზენელთა საუკეთესო თავდამსხმელი ულფ კირსტენი დაეშვა. იგი უმალ იქ მყოფი ერთი-ორი ქართველი ჟურნალისტის ყურადღების ცენტრში მოექცა. თუმცა, აქედანვე უნდა ითქვას, ჩვენი იერიშები უშედეგოდ დასრულდა. ამასობაში „დინამოს“ სელექციონერმა ბესო კირვალიძემ ინგლისელ მსაჯთა ბრიგადა გაგვაცნო, ეგებ თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია ამათაც მოეძებნებოდეთო. მსაჯებთან უეცარმა შეხვედრამ ცოტა დაგვაბნია, თუმცა, მალე თავად ინგლისელებმა განმუხტეს სიტუაცია — ქართულ კერძებზე ჩამოაგდეს სიტყვა. ჩვენც საუბარში ავყევით და დაახლოებით ერთი საათი ინგლისურ ფეხბურთზე ვისაუბრეთ, მაგრამ რადგან ეს წერილ უფრო გერმანელების თამაშმდელი სამზადისზეა, მათთან ნაუბარს ერთ-ერთ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ. ისე კი აქვე გეტყვით, რომ „ბლექბერნი“ — „შეფილდ იუნაიტედის“ ანგარიშმა — 7:2, რომელიც ჩვენ ვაცნობეთ ინგლისელებს, სტუმარი მსაჯები ერთობ გააკვირვა — რა ხდება, პრემიერლიგაში ასტრონომიული ანგარიშები რომ ფიქსირდებაო. „ბლექბერნის“ გამარჯვებამ მთავარ მსაჯს პოლ დარკინს თანამსაჯ ალან შეფილდთან გვარიანი სანაძლეო წააგებინა და როგორც შემდგომ გაირკვა, რევანშის იმტაზე მოსული პოლი ნომერში ავიდა, უკან კი ბანქოთი დაბრუნდა და დანარჩენი სამი არბიტრი პოკერის სათამაშოდ წაიყვანა. აქვე გეტყვით, რომ პოლ დარკინი სწორედ ის კაცია, ვინც 1994 წელს უეფას თასის შესარჩევი წრის პირველი შეხვედრაში „დინამოსა“ და კრაიოვას „უნივერსიტატიას“ მატჩზე მეოთხე მსაჯად იყო მივლინებული.

ინგლისელები რომ დაგვშორდნენ, ლევერკუზენელების ძებნა განვაგრძეთ, მაგრამ „ბაიერის“ თამაშის გასაშუქებლად ჩამოსულმა ერთ-ერთმა გერმანელმა ჟურნალისტმა ფრენკ ლესემ გვითხრა, გუნდს ახლა სძინავს და ამიტომ პრესკონფერენციამდე ვერავინ გაგესაუბრებათო. თავდ ჩვენთან ჩამოჯდა. რომ გაიგო, „სარბიელიდან“ ვიყავით, გვკითხა, დათო კაკაბაძეს თუ იცნობთო, რაზედაც, ცხადია, დასტური მიიღო. მანაც ფიოლერის და კირსტენის დარად, „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა არარეალურად მიიჩნია. ისიც თქვა, ვფიქრობ, ოთხშაბათის მატჩსაც მოვიგებთო.

ამასობაში ექვსი საათიც მოახლოვდა. „მეტეხშიც“ ნელ-ნელა მოიყარეს თავი ქართული სპორტის პრეს წარმომადგენლებმა. დაახლოებით ექვსის ნახევარზე სასტუმროს ჰოლში ლევერკუზენის დანიელი მცველი იან ჰეინცე გამოჩნდა. ცნობისთვის: იანი მეტად გამოცდილი ფეხბურთელია. თავის დროზე ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მარცხენა მცველად ითვლებოდა და 1988 წელს ჰოლანდიური „ეინდჰოვენის“ შემადგენლობაში ჩემპიონთა თასიც მოიგო. მართალია, ახლა ძველებურად ველარ თამაშობს, მაგრამ კლასი აშკარად ეტყობა. ამიტომ, ვგონებ, უინტერესო არ უნდა იყოს მისი აზრი: „ლევერკუზენში სასტიკი განადგურების მიუხედავად, „დინამო“ ცუდი გუნდი ნაღდად არაა. უბრალოდ, ეტყობოდათ, რომ გამოუცდელები იყვნენ. მეტად ნიჭიერი ბიჭები არიან, მაგრამ ვიმეორებ, გამოცდილება აკლიათ. თუმცა, ეგ არაფერი, თავის დროზე ყველაფერი მოვა. ისე, ჩემპიონთა ლიგაში რომ ჩვენ მოვხვდებით, ეჭვი იოტისოდენადაც არ მეპარება“.

მალე ჟურნალისტები საპრესკონფერენციო დარბაზში მიგვიწვიეს. შესვლისთანავე თვალი მოვკარით მიკროფონებთან მჯდომ რუდი ფიოლერს, კლუბის პრეს-ატაშეს და ლევერკუზენის პრეზიდენტ რაინჰარდ კელმუნდს. ჰერ კრისტოფ დაუმი რამდენიმე წუთის შემდეგ მობრძანდა და „ბაიერის“ კაპიტანი იენს ნოვოტნიც იახლა. დარბაზში თარჯიმანი არ აღმოჩნდა, მაგრამ მალე გამოინახა ქალბატონი, რომელმაც ეს მისია იკისრა, თუმცა ამან დაუმის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. რაც შეეხება პრესკონფერენციას, თავიდან რამდენიმე კითხვა გერმანელების საქართველოში ჩამოტანილ ჰუმანიტარულ დახმარებას მიეძღვნა. ზოგიერთი ამ ტვირთის შემადგენლობამ უფრო დააინტერესა, ვიდრე სტუმართა საფეხბურთო ცხოვრებამ, თუმცა მალე პრესკონფერენციამ ჩვეული



...მწვრთნელს მხიარულებაში არც მოვარჯიშე ფეხბურთელები ჩამორჩნენ

სახე მიიღო და კითხვები საფეხბურთო თემებზე დაისვა.

**— გჯერათ თუ არა, რომ „დინამო“ შეძლებს და ორი მატჩის ჯამში „ბაიერს“ სძლევს?**

დაუმი: სიტუაციას რეალურად ვაფასებთ. ჯერ ლიგის საგზური ჩვენთვის არავის მოუცია. ასე რომ, წინასწარ ლაპარაკი ძნელია. მართალია, დიდი უპირატესობა გვაქვს, მაგრამ ყველაფერი ხდება. ისე კი გეტყვით, თბილისში 5:0 გამარჯვებაზე მხოლოდ ოცნება შეგიძლიათ.

**— პირველი შეხვედრის წინ განაცხადეთ, „დინამოსთან“ წაგება მთელი გერმანელი ერისთვის სირცხვილი იქნებაო. ეს როგორ გავიგოთ?**

დაუმი: ჩვენ პროფესიონალები ვართ. ყოველი თამაშის წინ გუნდი მოგებაზე უნდა ფიქრობდეს. გასამარჯვებლად ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ. ასე რომ, ამ განცხადებას ეგრეთ წოდებული თვით დოპინგის გარდა სხვა არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონია.

**— ბოლო ორ საშინაო მატჩში ორივე მეტოქე — „დინამოც“ და „კარლსრუეც“ 6:1 გაანადგურეთ. არის თუ არა ამ გუნდებს შორის სხვაობა და რაში მდგომარეობს იგი?**

დაუმი: სხვაობა, რაღა დაგიმალოთ, და არის. პირველი ის, რომ თქვენთან თავიდანვე ვიგებდით, „კარლსრუესთან“ კი დასაწყისში მდევრის როლში აღმოვჩნდით. გუნდების თამაშში განსხვავება, ჩემი აზრით, ისაა, რომ „დინამო“ უფრო ინდივიდუალისტების გუნდია და აქედან გამომდინარე, ცალკეული ფეხბურთელების ხარჯზე ქმნის მომენტებს, „კარლსრუე“ კი უფრო ძალისმიერი ფეხბურთის მიმდევარია და „დინამოსთან“ შედარებით უფრო შეთამაშებულ გუნდად გვევლინება.

ცხადია, ჟურნალისტებმა არც ფიოლერი, ნოვოტნი და კელმუნდი დაივიწყეს და მათაც მიმართეს შეკითხვებით. ფიოლერმა, კითხვაზე — თქვენი კარიერის საუკეთესო კლუბი და პარტნიორიო, ჩემი ყველაზე კარგი პარტნიორი ჩემი მეუღლეა, გუნდი კი რაღა თქმა უნდა, „რომაო“. კაპიტანმა ნოვოტმა მეტად დიპლომატიურად ისაუბრა, გამორიცხული არაფერიაო, სავარაუდო ანგარიშზე კი თავი შეიკავა. ბოლოს კელმუნდმა განაცხადა, ჩვენი და „დინამოს“ ურთიერთობა ამით არ დასრულებულა, ქართველებს დახმარების ხელს კიდევ გამოგიწვდითო. დახმარებაში მან ჰუმანიტარული ტვირთი იგულისხმა, პრესკონფერენციის დასასრულს კი განაცხადა: „გერმანიაში რომ გაიგეს, საქართველოში ჰუმანიტარული ტვირთის ჩამოტანას ვაპირებდით, კლუბის გულშემატკივრები დაფაცურდნენ და ტანსაცმელი შეაგროვეს. ახლა თამაშამდე და მას შემდეგ გერმანიიდან ჩამოტანილ სამოსს ბავშვებს გადავცემთ“. იქვე კელმუნდმა მოიბოდიშა, ხვალინდელი მატჩისთვის საფუძვლიანი მომზადება გვმართებს, ამიტომ არ გვიწყინოთ და პრესკონფერენცია აქ დავასრულოთო.

„მეტეხიდან“ გუნდმა ეროვნულ სტადიონს მიაშურა, სადაც დაუმმა გუნდი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად ავარჯიშა. ერთადერთი, რაზეც გერმანელ ჟურნალისტებს გული დასწყდათ, ეს სტადიონის განათება იყო.

დაახლოებით საათნახევარში კი, როცა სტუმართა ფეხბურთელები გასახდელიდან ავტობუსისკენ მიემართებოდნენ, მეტად ამაზრზენ სიტუაციას შევესწარი — ერთ-ერთ ლევერკუზენელი, ჰანს პეტერ ლენჰოფი გერმანიიდან ჩამოტანილ ტვირთს, ძირითადად შოკოლადებს და მაისურებს ბავშვებს ურიგებდა და... მეტად გაკვირვებული ჩანდა, 20-30 წლის კაცები დოვლათის ხელში ჩასაგდებად არაფერს რომ თაკილობდნენ. ეგ კი არა, როცა ლენჰოფმა შოკოლადები გაამზადა დასარიგებლად, რამდენიმე ახმახმა „აჯობა“ ბავშვებს და, ლამის ჩანთაში ჩაუძვრა გერმანელს.

ამ სურათს ჩემთან ერთად ფრენკ ლესე შეესწრო და ალბათ დასამშვიდებლად მითხრა: დრო და „ბაიერი“ ყველაფერის მკურნალია.

**ლაშა გოდუაძე**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**

# უეფას საფრანგეთი შეეყარა

UEFA CUP

## უეფას თასის საპასუხო მატჩების მიმოხილვა

„გრასჰოპერი“ შემდეგ ეტაპზე გავიდა. შვეიცარიელებს ნორვეგიულ „ბრანთან“ ჭიდილში პირველ შეხვედრაში მოგებულმა 3:0-მა უშველა. საპასუხოში მათ შეტევათა ისეთი ქარიშხალი დაატყდათ თავს, რომ ძლივს მოახერხეს სასურველი შედეგის შენარჩუნება. „ბრანის“ მოთამაშემ, სტეფან პალდანმა „გრასჰოპერის“ მეკარის, ცურბიულერის კარი ორჯერ, 41-ე და 44-ე წუთებზე დალაშქრა. მიზანდასახულ ნორვეგიელთა შეტევებმა სტუმრებს მეორე ტაიმშიც მძიმე წუთები აწვნიეს, თუმცა, ციურიხის გუნდის ქართველი ფორვარდის, მიშა ყაველაშვილის თქმით, ბოლო წუთების შტურმი ბერგენელებს მთლად ეფექტური აღარ გამოუვიდათ. როგორც ეტყობა, ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ „გრასჰოპერმა“ თამაშის დამთავრებამდე ცამეტი წუთით ადრე მთელი ყურადღების დაცვაზე გამახვილების ნაცვლად, „სიმძიმის ცენტრის“ შუა მოედნისკენ გადატანა არჩია და საამისოდ თამაშში ახალი თავდამსხმელი, ყაველაშვილი ჩართო. ასეთმა ტაქტიკამ გაამართლა და მიშასვე სიტყვებს თუ დავესესხებით, მათი გუნდი გადარჩა.

შვეიცარიელთა მეორე ქართველი გიორგი ნემსაძე შესვენებაზე გამოცვალეს. გამოცვლის მიზეზი მცირე ტრავმა ყოფილა, რომელიც საშიში არ გახლავთ. ნემსაძე მაცარელიმ შეცვალა, სწორედ იმან, ერთიხანობა ინგლისურ „მანჩესტერ სიტიში“ გიორგი ქინქლაძის თანაგუნდელი რომ გახლდათ.

„გრასჰოპერმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ცურბიულერი, ჰაასი, გრენი, სმილიანიჩი, კრისტი, მანინი, ნემსაძე (მაცარელი 46), აჰინფული (ტიულერი 52), ფოგელი, მოლდოვანი, სუბიატი (ყაველაშვილი 77).

„ალანელმა“ ქართველებმა დნეპროპეტროვსკში ივაჟკაცეს. „დნეპრის“ ფეხბურთელებმა გოგა გახოკიძეს და ლევან კობიაშვილის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყეს. ის კი არა, დაბნეულებმა პენალტიც ვერ გაიტანეს — ხაპოვმა აუღო. კიდევ ის იყო საგულისხმო, რომ მეორე ტაიმში გოლი არ გასულა — 1:4 პირველი ტაიმის ანგარიშია.

ქართულ გვართაგან, უეფას თასის გათამაშებისთვის გამოყოფილ დღეს, კიდევ ერთი, კაზიაშვილი წამოტივტივდა. ეს ფეხბურთელი, ბენი კაზიაშვილი, ებრაელია, პეტახ-ტიკვას „ჰაპოელში“ თამაშობს და ისრაელის ეროვნული გუნდის შემადგენლობაშიც გვინახავს. დანიურ „ვაილესთან“ შეხვედრაში კაზიაშვილმა უხეში თამაშით გამოიჩინა თავი — ალექს ნორლანდის წაქცევისთვის მას შეხვედრის 84-ე წუთზე დაატოვებინეს მოედანი. მიუხედავად ამისა, დანიელებმა 0:1 წააგეს და გათამაშებას გამოეთიშნენ, რადგან ორი კვირის წინ, პირველ შეხვედრაში, 0:0 იყო. ორივე მატჩის ერთადერთი გოლი, 32-ე წუთზე „ჰაპოელის“ თავდამსხმელმა მოტი კაკონმა გაიტანა. მისი დარტყმული ჯარიმა „ვაილეს“ მეკარეს ერიკ ბოიეს გადაევლო, ხარიხას მოხვდა, ცენტრალურ მცველ კენტ შოლცს დაეცა და კარში შევარდა. მეორე ტაიმი სტუმრებმა უკეთ ჩაატარეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

„ტრაბზონსფორს“ შინ „დანდი იუნაიტედისთვის“ ჰამის გოლით 1:0 ჰქონდა მოგებული. საპასუხო შეხვედრაში იმავე ჰამის მიერ საფინალო სასტვენამდე ცხრა წუთით ადრე გატანილმა გოლმა თურქული გუნდი ახლა უკვე ორივე მატჩის ჯამში გამარჯვებულად აქცია.

თუ მომენტებით ვიმსჯელებთ, ისინი შოტლანდიელებს უფრო მეტი ჰქონდათ. გერი მაკსვიგანს, ყოფილ რეინჯერსელს, პირველს შეეძლო ტრაბზონელთა დამწუხრება: მე-12 წუთზე დეივ ბოუმენის ჩაწოდებულს მიყოლებული მისი თაური თურქეთის 21 წლამდელთა ნაკრებისა და „ტრაბზონსფორის“ მეკარეს, მეთინს ხელში მიუვიდა. შემდეგ, 27-ქზე, მარჯვენა ფრთიდან ენდი მაკლარენის გამოზომილ პასს კვლავ მაკსვიგანმა დაურთო გაწოლილი დარტყმა, მაგრამ მეთინმა ჩინებულად ითამაშა. შესვენებამდე ოთხი წუთით ადრე სახიფათო მომენტი თურქებმაც შექმნეს. ვინ დაარტყამდა, თუ არა ჰამი — ბურთი დეივ ბოუმენმა ბედად კუთხურზე აისხლიტა. მეორე ტაიმის მეთერთმეტე წუთზე მაკლარენმა როგორც იქნა მიაგნო მეთინის მიღმა მიმავალ გზას — „დანდის“ ოთხკაციანმა კომბინაციამ თურქების დაცვა დაშალა, შეტევის ბოლო ფაზაში კი მარცხნიდან ლარს ზეტერლუნდმა მაკლარენს ჩააწოდა, რომელმაც ლონიერი თაურით ტაბლოზე 1:0 აანთებინა.

დამატებითი დრო ახლოვდებოდა, ჰამიმ სხვების დაუხმარებლად რომ გაილაშქრა შოტლანდიელებთა კარისკენ. მიზანთან მახვილი კუთხით შევიდა, მაგრამ ზუსტად დაარტყა...

გლაზგოში, კრეიგ ბარლისა და მორტენ ვიგჰორსტის გვიანი გოლებით შოტლანდიის მეორე გუნდმა „სელტიკმა“, „დანდი იუნაიტედისგან“ განსხვავებით, შემდეგ ეტაპზე გააღწია. „სელტიკის“ მეტოქე გახლდათ ინსბრუკის „ტიროლი“, თამაშის ანგარიში — 6:3.

გლაზგოელთა ჰოლანდიელ მწვრთნელს ვიმ იანსენს შოტლანდიის პირველობაზე ნათამაშევ ბოლო შეხვედრასთან შედარებით მხოლოდ ერთი ცვლილება ჰქონდა ჩაფიქრებული — რეჯი ბლინკერის ნაცვლად ფილ ო დონელის გაყვანას აპირებდა, მაგრამ დარენ ჯექსონს მატჩის წინ თავის ტკივილი დაეწყო და მწვრთნელი იძულებული შეიქნა იგი გერმანელი ანდრეას ტომით შეეცვალა.

შეხვედრის მე-12 წუთზე ავსტრიელებსაც მოუხდათ დაუგეგმავი შეცვლა. „ტიროლის“ რუსმა მეკარემ სტანისლავ ჩერჩესოვმა თანაგუნდელის მიერ მიგორებული ბურთის მოგერიებისას ფეხი იტკინა და მის ნაცვლად კარში გამოუცდელზე გამოუცდელი ჰაინც ვებერი ჩადგა.

ვებერის კარი პირველად 34-ე წუთზე დაეცა, ვიგჰორსტმა დონელი ჭკვიანური პასით რომ შეიყვანა ხელსაყრელ პოზიციაში. მალე მაირლებმა პირისპირ გასვლით გაქვითა ანგარიში. ტაიმის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ვებერმა ბურთის ხელში ჭერა გაიგრძელა, რისთვისაც მსაჯმა დააჯარიმა, ტომმა კი ჰენრიკ ლარსონის პასით წინ ისევ „სელტიკი“ გაიყვანა, მაგრამ ტაიმის წამატებულ დროში მაირლებმა ისევ გაარღვია მასპინძელთა დაცვა და სევერინსს კვლავ გაათანაბრებინა. უფრო ზუსტი თუ ვიქნებით, სევერინსის დარტყმული უიღბლო ლარსონს მოხვდა და ისე შევარდა ლარსონისთვის არასასურველი კარის ბადეში.

ლარსონმა უნებლიე შეცდომა შესვენების შემდეგ გამოასწორა: მეტოქის საჯარიმოში მისი თეატრალური წაქცევა არბიტრს წესების დარღვევად მოეჩვენა და პენალტი დანიშნა — თერთმეტი მეტრიდან დონელიმ მიაღწია საწადელს. 70-ე წუთზე „პარკჰედზე“ შეკრებილი 47 ათასი გულშემატკივარი სიხარულით ცას ეწია: ბარლის დარტყმული ასხლეტის შემდეგ ცხრიანში შევარდა. „სელტიკმა“ იფიქრა, ესაა და მოვიგეო, მაგრამ თურმე შოტლანდიელთა ნერვები ჯერ კიდევ გამოსაწრთობი ყოფილა. ახალშესულმა გურნოტ კრინერმა 82-ე წუთზე ბურთთან პირველივე შეხებით შეამცირა სხვაობა — 4:3. ნერვებგაკაუებულმა გლაზგოს გუნდმა მაინც გაიტანა თავისი, თან ორჯერ. ამ გოლთა ავტორები ზევით მოგახსენეთ.

...მეკარე მილან უდვარაში ბუდაპეშტელთა გმირი გახდა. უნგრული „ფერენცვაროშისა“ და შვედური „ჰელსინგბორგის“ დუელში, საქმე პენალტებამდე რომ მივიდა, უდვარაშმა ძალ-ღონე მოიკრიბა, ორი დარტყმა მოიგერია და „ფერენცვაროშს“ 4:3 მოაგებინა.

უნგრელებს პირველი შეხვედრა სტუმრად ჰქონდათ მოგებული — 1:0, საპასუხო მატჩი კი იმავე ანგარიშით წააგეს. შვედთაგან 43-ე წუთზე ანდრეას იაკობსონმა იყოჩაღა. დაინიშნა დამატებითი დრო, რომელიც ძელისთვის ბურთის გარტყმაში 1:1 დამთავრდა, გოლების გატანაში — 0:0. ამრიგად ყველაფერი თერთმეტი მეტრიდან უნდა გარკვეულიყო და გაირკვა კიდეც. მატიას იონსონმა და ოლა ნილსონმა „ფერენცვაროშის“ გოლკიპერს ვერ აჯობეს.

პარ ზეტერბერგისა და ენცო შიფოს მიერ პირველ ტაიმში გატანილმა გოლებმა ბელგიურ „ანდერლეხტს“ 2:0-ზე 2:0 დაუმატა და ჯამში უკრაინული „ვორსკლა“ ქალაქ პოლტავიდან 0:4 დამარცხებული დარჩა. შვედეთის ნაკრების წევრმა ზეტერბერგმა ჯარიმიდან იმძლავრა, შიფომ კი თაურით გაიტანა. თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე „ანდერლეხტს“ გლენ დე ბოეკი გაუძევეს მოედნიდან, მაგრამ ამ ამბავს ძლიერიგან სუსტის დამარცხებაში როლი არ უთამაშია.

ბრნოში ჩეხურმა „ბობიმ“ ვენის „რაპიდს“ 2:0 კი აჯობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორი შეხვედრის ჯამში 3:6 წაგებული გამოვიდა. ბრნოელებმა, ზემოხსენებული „ანდერლეხტის“ მსგავსად, ორივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანეს. თავიდან მილან პაკანდამ დააწინაურა თავისიანები, შემდეგ კი ზდენეკ ვალნოჰამ მიიღო ბურთი, ეფექტურად შემობრუნდა და „რაპიდის“ მეკარე ისე დაამარცხა. ამის შემდეგ ავსტრიელები მთლიანად დაცვაზე გადაერთნენ და კინაღამ მესამეც გაუშვეს — პაკანდას დარტყმული ძელს მოხვდა.

აი, ფრანგებს კი უეფას თასზე თითქმის მთელი თავიანთი პირველი დივიზიონი გამოუდით. დახეთ, რა ხდება: ოთხი ადგილი ამ ქვეყანას ისედაც გამოყოფილი ჰქონდა, ახლა სამი გუნდი ინტერტოტოდან დაემატა, ამ მიმოხილვის წერის დროს კი ცნობილი არ იყო, გადაერთვებოდა თუ არა „ბატუმივით“ დასჯილი „პარი სენ ჟერმენი“ უეფას თასზე. ინტერტოტოზე ოთხი „ფინალი“ რომ ყოფილიყო, იქნებ ოთხივე ფრანგული კლუბი უეფაზე გვეხილა. ასე კი „ლიონი“ „მონპელიეს“ შეხვდა და ჯამში 4:2 აჯობა. საპასუხო მატჩის ანგარიში 3:2 გახლავთ. აღსანიშნავია, რომ „მონპელიემ“ თამაში ცხრა კაცით დაასრულა, რადგან იბრაჰიმ ბაკაიოკო ორი ყვითლის გამო გააგდეს, ხოლო ლორენ რობერმა ფეხი მაშინ იტკინა, სტუმრებს სამი შეცვლა უკვე გაკეთებული რომ ჰქონდათ.

**ბაჩუნა ძიძია**

*რაც შეეხება უეფას თასის გაისინდელ გათამაშებას, აქ თითო დამატებითი ადგილი უკვე დაიმკვეს ინგლისმა, ფინეთმა და ნორვეგიამ. ეს ქვეყნები უეფამ „ფეარ პლეის“ პრინციპების ყველაზე ერთგულ მიმდევრებად ჩათვალა.*



სელტიკი — ტიროლი. უტევს ჰენრიკ ლარსონი



REUTERS

ვორსკლა — ანდერლეხტი. სტუმარი სელიმეში გაოგნებულია: სად ბურთი და სად ბაბიხი

### უეფას თასი. მეორე შესარჩევი წრე
საპასუხო მატჩები. 26 აგვისტო

UEFA CUP

*ლილესტრიომი (ნორვეგია)* — დინამო (მინსკი, ბელარუსი) 1:0 (2:0)
**1:0 დიალო (40)**
*სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია)* — ტიროლი (ინსბრუკი, ავსტრია) 6:3 (1:2)
**1:0 დონელი (34), 1:1 მაირლები (39 პ), 2:1 ტომი (44), 2:2 სევერინსი (45), 3:2 დონელი (68 პ), 4:2 ბარლი (70), 4:3 კრინერი (82), 5:3 ვიგჰორსტი (88), 6:3 ბარლი (90)**
დნეპრი (დნეპროპეტროვსკი, უკრაინა) — *ალანია (რუსეთი)* 1:4 (1:2)
**0:1 გახოკიძე (2), 1:1 შარანი (23), 1:2 გახოკიძე (27), 1:3 იანოვსკი (33), 1:4 კობიაშვილი (44)**
*ფერენცვაროში (უნგრეთი)* — ჰელსინგბორგი (შვედეთი) 0:1 დ.დ. (1:0) პ 4:3
**0:1 იაკობსონი (43)**
დანდი იუნაიტედი (შოტლანდია) — *ტრაბზონსფორი (თურქეთი)* 1:1 (0:1)
**1:0 მაკლარენი (56), 1:1 ჰამი (81)**
მალმიო (შვედეთი) — *ჰაიდუკი (სპლიტი, ხორვატია)* 0:2 (2:3)
**0:1 ვუჩკო (45), 0:2 ერცეგი (90)**
*მუსკრონი (ბელგია)* — აპოლონი (ლიმასოლი, კვიპროსი) 3:0 (0:0)
**1:0 ფ. პიერი (30), 2:0 ვიდოვიჩი (55), 3:0 ფ. პიერი (66)**
*ბრიუგე (ბელგია)* — გორიცა (სლოვენია) 3:0 (5:3)
**1:0 ჟბარი (4), 2:0 დებრული (84), 3:0 ვან დერ ელსტი (85)**
*ორებრო (შვედეთი)* — იაბლონეცი (ჩეხეთი) 0:0 (1:1)
*ორჰუსი (დანია)* — უიპეშტი (უნგრეთი) 3:2 (0:0)
**1:0 რიპერი (25), 1:1 სებეკი (29), 2:1 ჰალუმი (67), 3:1 სორენსენი (70), 3:2 კოვაჩი (76)**
ბრანა (ნორვეგია) — *გრასჰოპერი (შვეიცარია)* 2:0 (0:3)
**1:0, 2:0 პალდანი (41, 44)**
სპარტაკი (ტრნავა, სლოვაკეთი) — *პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი)* 0:0 (3:5)
ვიკინგი (სტავანგერი, ნორვეგია) — *ქსამაქსი (შვეიცარია)* 2:1 (0:3)
**0:1 კუნცი (48), 1:1 სკოგჰეიმი (54), 2:1 მაანსონი (85)**
ბობი (ბრნო, ჩეხეთი) — *რაპიდი (ვენა, ავსტრია)* 2:0 (1:6)
**1:0 პაკანდა (4), 2:0 ვალნოჰა (45)**
ვორსკლა (პოლტავა, უკრაინა) — *ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელგია)* 0:2 (0:2)
**0:1 ზეტერბერგი (31), 0:2 შიფო (43)**
ოდრა (ვოძისლავი, პოლონეთი) — *როტორი (ვოლგოგრადი, რუსეთი)* 3:4 (0:2)
**0:1 ბერკეტოვი (5), 1:1 სტანიეკი (34), 2:1 ზაგორსკი (44), 3:1 ბრზოზა (44), 3:2 აბრამოვი (50), 3:3, 3:4 ვერეტენნიკოვი (69, 72)**
*ჰაპოელი (პეტახ ტიკვა, ისრაელი)* — ვაილე (დანია) 1:0 (0:0)
**1:0 კაკონი (32)**
*ოფი კრეტა (საბერძნეთი)* — რეიკიავიკი (ისლანდია) 3:1 (0:0)

### ინტერტოტო. ფინალური ეტაპი
საპასუხო მატჩები. 26 აგვისტო

INTERTOTO CUP

*ლიონი (საფრანგეთი)* — მონპელიე (საფრანგეთი) 3:2 (1:0)
*ბასტია (საფრანგეთი)* — ჰალმშტადი (შვედეთი) 1:1 (1:0)
*ოსერი (საფრანგეთი)* — დუისბურგი (გერმანია) 2:0 (0:0)

## ფეხბურთის რუკასთან

**ჩილელი** ივან სამორანო, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლის ანდრეს ესპინოზას განცხადებით, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში არგენტინის წინააღმდეგ ტრავმის გამო ვერ ითამაშებს. სამორანომ, შესარჩევ ტურნირში 12 გოლი რომ შეაგდო, ტრავმა მილანის „ინტერში“ მიიღო.

**ბრაზილიის ჩემპიონატში განთავისუფლებულ მწვრთნელთა რიცხვმა ამ კვირაში 12-ს მიღწია: „ვიტორიას“ მწვრთნელი კანდინიუ ზედიზედ მესამე მარცხისთვის დაითხოვეს. კლუბის ახალ მწვრთნელად ევარისტო დე მასედო დაინიშნა, რომელზეც ერთი თვის წინ „გრემიომ“ თქვა უარი. ამასობაში „უნიაუ სან ჟოაომ“ ლულა პერეირა გააგდო, მის ნაცვლად კი ბასილიუ აიყვანა. „ბაიას“ მწვრთნელის პოსტი ნესტორ ბატისტამ დაკარგა, ჟაირ პერეირამ კი იპოვა.**

**იტალიაში** მიმდინარე მსოფლიოს სტუდენტთა თამაშებზე ფეხბურთელთა ტურნირის ნახევარფინალებში მასპინძლებმა 1:0 სძლიეს აშშ-ს, მეოთხედფინალში ბრაზილიელთა მძლეველმა სამხრეთ კორეელებმა უკრაინას მოუგეს 5:3.

**შვედი თომას ბროლინი, „ლიდსში“ უიღბლობა რომ დასჩემდა, შესაძლოა, ესპანურ „სარაგოსაში“ გადავიდეს. მისმა აგენტმა განაცხადა, „ლიდსი“ მოვთაფლე „სარაგოსას“ შევუთანხმდი და ტრანსფერს წინ აღარაფერი დაუდგებაო.**

**ნორვეგიელმა** კენ ინგე როკემ, ვინც „მიოლდეს“ ერთ-ერთი მეპატრონეა, გადაწყვიტა, „უიმბლდონის“ აქციების გარკვეული პროცენტის მფლობელ, თანამოაზრე ბიორნ რუნე გელსტენთან ერთად „უიმბლდონსა“ და „მიოლდეს“ შორის მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა გაალრმავოს. ამისთვის მათ დაახლოებით 100 მილიონი დოლარი გამოჰყვეს და ლონდონსა და ოსლოში კომპანიების დაარსებას შეუდგნენ.

**ჰოლანდიის „ჰერენვენმა“ სამშაბათს ავსტრალიის „სიდნი ოლიმპიკიდან“ რაფაელ ბოჟი შეიძინა. ნაკრებში 10-ჯერ ნათამაშევმა 20 წლის მცველმა, მარშან ატლანტის ოლიმპიადაზე რომ იასპარეზა, „ჰერენვენთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.**

**ესპანეთის** დედაქალაქში „ატლეტიკომ“ მილანის „ინტერს“ ამხანაგურად უმასპინძლა და 1:0 დაამარცხა. მატჩის კინკილა გოლი კრისტინ ვიერიმ შეაგდო.

**პოლონელი პიტერ ნოვაკის „მიუნხენ 1860“-დან „ტოტენჰემში“ გადასვლა ჩაიშალა კლუბებს შორის შეუთანხმებლობის გამო. გერმანელთა ადვოკატის თქმით, ინგლისელებმა მათ პირი უტეხეს. ნოვაკის ფასი 2 მილიონ 550 ათასი მარკა იყო.**

**კოლუმბიელი** მეკარე ოსკარ კორდობა, 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ უთამაშია და ბოლო ხანებში ფარიდ მონდრაგონის ჩრდილში იმყოფება, არგენტინულ „ბოკა ხუნიორსში“ გადაბარგდა. ტრანსფერის თაობაზე არაფერია ცნობილი. ერთია, რომ კორდობამ განაცხადა, მარადონასთან ერთად გუნდში ყოფნაზე ყოველთვის ვოცნებობდიო.

**ესპანეთში საარაკო ამბავი მოხდა. მავანი ხალხი ქვეყანაში ჩავიდა და განაცხადეს, „ბოტაფოგო“ვართო. მასპინძელთა კლუბების თავკაცები დაფაცურდნენ, ამხანაგური თამაშები დანიშნეს, დაძაბული მატჩების მოლოდინში გაემზადნენ, მაგრამ რაოდენ დიდი იყო მათი გაოცება, როცა თვითმარქვია „ბოტაფოგომ“ ესპანეთის მესამე დივიზიონის კლუბებთან 0:7 და 0:6 წააგო. დაეჭვებულებმა ბრაზილიაში ფაქსი აფრინეს, იქიდან კი პასუხად მიიღეს, „ბოტაფოგო“ მანდ არ წამოსულა, გაცრუებენ და ეგააო.**

**ბრაზილიის** ნაკრების მწვრთნელმა მარიო ზაგალომ ეკვადორთან ამხანაგურ შეხვედრაში სათამაშოდ არ მიიწვია რონალდო და რობერტო კარლოსი. მათ უკვე დამთავრებიათ ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობის ლიმიტი. სამაგიეროდ, ზაგალომ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა რიგებში უხმო ლევერკუზენელ ემერსონს და კიდევ ექვს, ნაკრებში აქამდე არნათამაშევ ფეხბურთელს. ეს მატჩი 10 სექტემბერს გაიმართება.

## ინგლისი

### IV ტური

### ლიდსი 0:2 ლივერპული

**ლიდსი: მარტინი, კელი, რობერტსონი, ჰაალანდი, რადებე, უოლესი, ჰოპკინი, ჰალე, მოლენაარი, ჯიმი, რიბეირო**
**ლივერპული: ჯეიმსი, ჯოუნსი, კვარმე, რაიტი, ჰარკნესი, ტომასი, ინსი, მაკმანამანი, ბიორნებიუ, ოუენი, რიდლე (ბერგერი 82)**
**გოლი: 0:1 მაკმანამანი (23), 0:2 რიდლე (75)**

ჩემპიონატის სტარტზე მხოლოდ ორი ქულის მოპოვებამ „ლივერპული" კრიტიკის ქარცეცხლში გაახვია. უკვე გაისმოდა ხმები, თითქოს ევანსი დიდად შეცდა რიდლეს შესყიდვისას და იმაშიც, მაკმანამანი „ბარსელონაში" რომ არ გაუშვა. ეტყობა, ფეხბურთელებს მობეზრდათ კრიტიკა და ამ შეხვედრაში დაამტკიცეს, რომ ორივე მეტად საჭიროა გუნდისთვის.

დასაწყისშივე „ლივერპული" ისე ეკვეთა მასპინძელთა კარს, გეგონებოდათ, პრემიერლიგაში დარჩენა-არდარჩენის საკითხი აქვს გადასაწყვეტიო. მასპინძლებმა ვერაფრით შეძლეს აბობოქრებული მაკმანამანის გაჩერება, რიდლემ და მისმა მეწყვილე ოუენმა კი მეურვეები ჰაალანდი და რადებე აშკარად დაჩაგრეს. შეხვედრის პირველი სახიფათო მომენტი როი ევანსის აღსაზრდელებმა შექმნეს, მაგრამ მაკმანამანის პასით რიდლემ კარს მცირედითააცილა. გოლამდე მასპინძლებმაც გამოიღეს ხელი და ჯიმიმ ორჯერ შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა, თუმცა ჯეიმსმა, ვინც მთელი შეხვედრის განმავლობაში უნაკლოდ გაისარჯა, ბურთი ხელებში დაატყვევა. ანგარიში კი შემდეგნაირად გაიხსნა: მაკმანამანი ინსის პასით ცენტრიდან გაიჭრა, შემდეგ გეზი იცვალა და საჯარიმოს მარჯვენა მისადგომებისკენ გაუტია. იქით წასული რომ დაინახეს, „ლიდსის" მცველებმა იფიქრეს, ჩააწოდებს ან პასს მისცემსო, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ: მაკმანამანმა მოულოდნელად დაარტყა, ბურთმა მცველებს შორის ჩაიზუზუნა და მარტინისგან შორეულ კუთხეში შევარდა — 13 აპრილის შემდეგ, როცა მაკმანამანმა სანდერლენდში გაიტანა, ეს მისი პირველი გოლი იყო.

ანგარიშის გახსნის შემდეგ სტუმრებმა ტაქტიკა იცვალეს და საკუთარი კარის გამაგრება იწყეს, ამას, შესაძლოა, მათთვის ზიანი მოეტანა, მაგრამ იმ დღეს კარში ჯეიმსი იდგა, კაცი, რომელმაც რიბეირო და ჯიმი რამდენჯერმე დაამწუხრა. შესვენების შემდეგ თამაშში მასპინძელთა აქტიურობა შეინიშნებოდა, თუმცა, „ლივერპულის" თითქმის ყველა კონტრშეტევა სახიფათო მომენტით მთავრდებოდა. ერთხელ კი, როცა ჰალემ ოუენი საჯარიმოში დაანარცხა, არბიტრმა პენალტი არ დანიშნა, რამაც ყმაწვილკაცი ფორვარდის გულისწყრომა გამოიწვია. ეს 70-ე წუთზე მოხდა. ხუთ წუთში კი რიდლემ პრემიერლიგაში პირველი გოლი შეაგდო — მასპინძელთა მორიგ შეტევას სტუმრებმა კონტრთავდასხმით უპასუხეს, დამგვირგვინებელი დარტყმა რიდლეს მიანდეს, მაგრამ სანამ გერმანელები მარჯვნიდან დარტყმულით მარტინს მარცხნივ გაუტანდა, ჰაალანდის დაზღვევაზე წამოსულმა მოლენაარმა, ლამის იყო, მაისური შემოახია. აქ მასპინძლებს თამაშის გადარჩენის იმედი გადაეწურა და ლიდსელებიც ზედიზედ მეორე საშინაო 0:2 წაგებას შეეგუენ.

შეხვედრის შემდეგ როი ევანსმა ჟურნალისტებს განუცხადა, ასეთი „ლივერპულის" ნახვას კარგა ხანია ველოდიო: „იმედია, ჩემი გუნდის თამაშით თქვენც კმაყოფილი დარჩით. ამის შემდეგ აღარ გაგანაწყენებთ".



ბლექბერნი (გალაჰერი) შეფილდზე (ბლონდოზე) ხუთი თავით მაღლა იდგა

REUTERS ბლექბერნიდან

### ბლექბერნი 7:2 შეფილდი

**ბლექბერნი: ფილანი (ფლაუერსი 64), კენა, რიპლი, ჰენდრი, ფლიტკროფტი, პირსი, ვალერი, ვილკოქსი (დალინი 57), მაკკინლი (ბოჰინენი 44), სატონი, გალაჰერი**
**შეფილდი: პრესმენი, აზერტონი, ნოლანი, ნიუსომი, ბლონდო, უოქერი (კოლინზი 46), უითინგემი (შერსტი 46), ბუთი (ნიქოლი 32), დი კანიო, ჰაიდი, კარბონე**
**გოლი: 1:0, 2:0 გალაჰერი (3, 7), 2:1 კარბონე (8), 3:1 ჰაიდი (10 საკ. კარში), 4:1 ვილკოქსი (20), 5:1 სატონი (24), 5:2 კარბონე (47), 6:2 ბოჰინენი (53), 7:2 სატონი (74)**

„ივუდ პარკზე" ჭეშმარიტად თვალწარმტაცი სანახაობა გაიმართა — ცხრა გოლი, სამი „დუბლი", გაძევება და მეკარის მძიმე ტრავმა, თუმცა ყველაფერზე თანმიმდევრობით ვთქვათ.

ახლა გოლების აღწერას რომ შევუდგეთ, საქმე ძალიან შორს წაგვივა, ამიტომ მხოლოდ დამარცხებულთა ორს და სატონის მეშვიდე გოლებს აღვნიშნავთ. „შეფილდ უენსდეის" ისტორიაში სარეკორდო შენაძენმა, იტალიელმა ბენიტო კარბონემ თავი არც ამჯერად დაზოგა და ორი, მართალია არაფრის გადამწყვეტი, მაგრამ მეტად ლამაზი გოლი შეაგდო: მერვე წუთზე დაახლოებით იმდაგვარი უკუდარტყმით გაიტანა, როგორც პირველ ტურში „ნიუკასლთან", მეორე კი მართლაც ყველას სჯობდა — აპენინელმა თავი ფილანის კარიდან დაახლოებით 25 მეტრში რომ დაიგულა, უძლიერესად დაარტყა, ბურთმა კარამდე მანძილი წამში დაფარა და ხარიხასა და ძელს შორის, ჩვენში „ცხრიანად" ცნობილ კუთხეში შევარდა. სატონის გოლი კი იმითაა აღსანიშნავი, რომ ჯერ ერთი, ერთობ ლამაზი კომბინაციის შედეგი იყო, მეორეც — ეს მისთვის ამ ჩემპიონატში უკვე მეხუთე ბურთია.

მეორე ტაიმში შეფილდელთა ერთადერთმა იმედმა კარბონემ შოტლანდიელ კევინ გალაჰერს უხეშობაზე თავში თავის გარტყმით უპასუხა და გააგდეს, 64-ე წუთზე კი „ბლექბერნის" მეკარე ერთობ დაშავდა და მოედანზე ძირითადი მეკარე, ინგლისის ნაკრებში ცხრაჯერ ნათამაშევი ტიმ ფლაუერსი გამოჩნდა. მატჩის მერე კლუბის ექიმმა ჯონ დევისმა განაცხადა, ფილანის შესახებ წინასწარ ვერაფერს გეტყვით, სავარაუდოდ, ხელი აქვს მოტეხილიო.

„ბლექბერნი" ლიდერია და ამ წარმატების თავი და თავი რომ ჰოჯსონია, ყველა ხვდება. ასევე ფიქრობენ კლუბის ბომბარდირები გალაჰერი და სატონი, რომლებმაც ამ დღეებში განაცხადეს, როი ჰოჯსონმა გუნდური თამაში გვასწავლა, წინა სეზონში ყველა ჩვენსას ვერეკებოდითო.

## კოკა-კოლას თასი

### I წრის საპასუხო მატჩები

### სიტი 1:0 ბლეკპული

**სიტი: მარგეტსონი, ბრაითველი, უეგენი, ვიკენსი, სამერბი, ბრენენი (მაკგოლდრიკი 66), საიმონსი, ბრედბერი, ჰორლოკი, ქინქლაძე (დიკოვი 78), როსლერი (ვან ბლერკი 90)**
**გოლი: 1:0 ჰორლოკი (88)**

ეტყობა, მანჩესტერელები დაითარსნენ, თორემ სეზონი ასე უხეიროდ კარგა ხანია არ დაუწყიათ. გიოს გუნდმა ჯერჯერობით პირველ დივიზიონში ვერ იმარჯვა, ახლა სეზონის რიგით მეხუთე მატჩი კი მოიგო, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც დამარცხებული გამოვიდა, რადგან პირველი მატჩი 0:1 წააგო.

დიდი უპირატესობის და გიოს შესანიშნავი თამაშის მიუხედავად, მასპინძლებმა ორი მატჩის ჯამში ანგარიშის გათანაბრება მხოლოდ საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე შეძლეს. ამ მომენტამდე „სიტიმ" სამჯერ „მოიკითხა" „ბლეკპულის" კარის ძელები, ხოლო მის შეტევებს, მართალია უშედეგოს, დასასრული არ უჩანდა. ფრენკ კლარკმა ქინქლაძე პირველი ნახევრის შემდეგ მარჯვენა ფლანგზე გაამწესა და ამანაც იქაურობა აიკლო. შორიდანაც ბლომად ურტყა. გოლი მწიფდებოდა, მაგრამ გამოხტა გარი ბრებინი და ქართველს კინალამ ფეხი მოტეხა — ქინქლაძე მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. როგორც გუშინ გიომ გვაცნობა, ბრებინს კოჭში მოურტყამს — კიდევ კარგი, დროზე ავხტი, თორემ მომტეხდა კიდეცო. ბოლოს თქვა, ხუთშაბათს სამედიცინო შემოწმებას გავივლი და საბოლოო პასუხს მაშინ მეტყვიან, მაგრამ არა მგონია, ტრავმა ისეთი მძიმე იყოს, 10 სექტემბერს იტალიასთან ვერ ვითამაშოო.

მოკლედ, გიო გაიყვანეს, „სიტის" შეტევებმა კი მაინც არ იკლო და საქმეც პენალტებამდე მივიდა. აქ მასპინძლებს ნერვებმა უმტყუნა — ჰორლოკს მეკარე სტივ ბენქსმა აუღო, ბრედბერიმ კი კარს გადააცილა. საბოლოო ჯამში სიტიმ პენალტებში 2:4 წააგო და ლიგის თასის გათამაშებას პირველ ეტაპზე ზედიზედ მეორედ გამოეთიშა.

**ლაშა გოდუაძე**

**კოკა-კოლას თასის გათამაშებას, პირველ ეტაპზე, სიტის გარდა, პირველი დივიზიონის კიდევ ოთხი გუნდი გამოეთიშა: ნორვიჩი, პორტ ვეილი, სვინდონი და პორტსმუთი.**

## გაფიცვა გადაიდო

ესპანეთში პირველი და მეორე დივიზიონის ფეხბურთელები ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ გაფიცვას აპირებდნენ. [illegible] ბებს [illegible] არაევროკავშირელის ყოლის უფლება აქვთ მინიჭებული. დღესდღეობით, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, პირველი და მეორე დივიზიონის კლუბებს შეუძლიათ იყოლიონ ექვსი არაევროკავშირელი და ათამაშონ მხოლოდ ოთხი. თუ მათ ამ ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების წარმომადგენელ ფეხბურთელებსაც დავუმატებთ, მივიღებთ, რომ ესპანურ კლუბებში ადგილობრივი მხოლოდ ოთხი-ხუთი ფეხბურთელია რჩება. მოთამაშეებმა მოითხოვეს ექვსი არაევროკავშირელის ყოლის ნებართვა სამამდე შემცირებინათ, აქედან ერთისთვის მიენიჭებინათ თამაშის უფლება. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი უვადო გაფიცვით იმუქრებოდნენ. წუხელ საფეხბურთო ლიგის, ფეხბურთის ფედერაციის და სხვა დაინტერესებულ პირთა მადრიდში გამართულმა თათბირმა დაადგინა, რომ ამ საკითხის ირგვლივ საფუძვლიანი მოლაპარაკებები 18 სექტემბრიდან გაიმართება. ამრიგად, გაფიცვა გადაიდო.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ესპანელებს იტალიის სერია A-ს და B-ს პრეზიდენტმა სერჯიო კამპანამაც დაუჭირა მხარი. იტალიელებსაც იგივე სატკივარი აქვთ.

## მადლიერი ფრედი

ადამიანთა უმრავლესობა ყვავილებსა და შოკოლადს ამჯობინებს, გერმანიის თასის მფლობელ „შტუტგარტისა" და ეროვნული ნაკრების თავდამსხმელს ფრედი ბობიჩს კი საამისო სხვა ხერხი აქვს. ეს ხერხი -20 ათასი მაისურის დარიგება გახლავთ.

დიახ, შაბათს, ბუნდესლიგის მეხუთე ტურის შეხვედრაში, რომელშიც „შტუტგარტი" დორტმუნდის „ბორუსიას" ხვდება, სტუარდები მაყურებლებს ოცი ათას საგანგებო მაისურს ჩამოურიგებენ — ეს ბობიჩის მადლობა იქნება, მადლობა ერთგული ქომაგებისთვის.

ფრედიმ მაისურებზე საკუთარი თავი გამოასახვინა, ფონზე კი გულშემატკივრები ჩანან. ბუნებრივია, მაისურზე გამოსახული ბობიჩი მოქმედებაშია, მოედანზეა. ბუნებრივია ისიც, რომ აქციის ხარჯები მთლიანად მოთამაშემ გაიღო.

— ქომაგები ძლიერ მამხნევებენ. ისინი გუნდში დარჩენასა და კონტრაქტის გაგრძელებას მთხოვდნენ. მაშინვე ვიცოდი, მათთვის მადლობა უნდა მეთქვა — განაცხადა ბობიჩმა, რომელმაც ივლისში მართლაც მოაწერა ხელი „შტუტგარტთან" განახლებულ კონტრაქტს.

**შესარჩევი ტურნირი**

FRANCE 98

# ცვლილებები უმნიშვნელოა

**6, 7, 10 და 11 სექტემბერს დედამიწას მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევთა მორიგი ტალღა გადაუვლის. ზოგიერთი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელმა უკვე დაასახელა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებსაც მოახლოებულ მატჩებზე იახლებს.**

## ევროპა

### ნორვეგია

ბაქოში აზერბაიჯანის ნაკრებთან სათამაშოდ ნორვეგიელთა მწვრთნელმა ეგილ ოლსენმა იგივე მოთამაშეები გამოიძახა, ამასწინათ ფინეთს 4:0 რომ მოუგეს. ინგლისური „შეფილდ იუნაიტედის" თავდამსხმელი იან აგე ფიორტოფტი, რომელმაც ჰელსინკში ტრავმირებული საუთჰემპტონელის, ეგილ ოსტენსტადის ნაცვლად ითამაშა, ამის მომჯობინების მიუხედავად, მაინც გამოძახებულთა სიაში.

მეკარეები — თომას გილი (დუისბურგი, გერმანია), ფროდე გროდასი (ჩელსი, ინგლისი); მცველები — ჰენინგ ბერგი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), სტიგ ინგე ბიორნებიუ (ლივერპული, ინგლისი), გუნარ ჰალე (ლიდსი, ინგლისი), ალფ ინგე ჰაალანდი (ლიდსი, ინგლისი), დან ეგენი (ბრონდბიუ, დანია), რონი იონსენი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი); ნახევარმცველები და თავდამსხმელები — ჯასტინ ფლო (სტრომსგოდსეტი), ტორე ანდრე ფლო (ჩელსი, ინგლისი), ერიკ მიკლანდი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ოდ ინგე ოლსენი (მიოლდე), კიეტილ რეკდალი (ჰერტა, გერმანია), პეტერ რუდი (მიოლდე), ბენტ სკამელსრუდი (რუსენბორგი), სტალე სოლბაკენი (ლილესტრიომი), ფრანკ სტრანდი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), იან აგე ფიორტოფტი (შეფილდ იუნაიტედი, ინგლისი).

### ირლანდია

ამ გუნდს ზედიზედ ორი თამაში ელის — 6 სექტემბერს რეიკიავიკში ისლანდიასთან, 10 სექტემბერს კი ვილნიუსში ლიტვასთან.

ჯეფ კენა (ბლექბერნი), დენის ირვინი (მანჩესტერ იუნაიტედი), სტივ სტონტონი (ასტონ ვილა), კენ კანინგემი (უიმბლდონი), იან ჰერტი (ლიდსი), გერი ბრინი (ქოვენთრი), კერტის ფლემინგი (მიდლსბრო), რეი ჰაფტონი (რედინგი), როი კინი (მანჩესტერ იუნაიტედი), ენდი თაუნსენდი (ასტონ ვილა), ჯეისონ მაკატირი (ლივერპული), ალან მაკლაფლინი (პორტსმუთი), გერი კელი (ლიდსი), მარკ კენედი (ლივერპული), ალან მური (მიდლსბრო), დევიდ კონოლი (ფეიენოორდი, ჰოლანდია), კიტ ონილი (ნორვიჩი), ტონი კასკარინო (ნანსი, საფრანგეთი), ნილ ქუინი (სანდერლენდი), დევიდ კელი (ტრანმერი), ფილ ბები (ლივერპული), ტერი ფილანი (ევერტონი), კევინ კილბენი (ვესტ ბრომვიჩი).

### გერმანია

6 სექტემბერს პორტუგალიასთან და 10-ში სომხეთთან სათამაშოდ სხვებთან ერთად კვლავგამოძახებული შტეფან როიტერიც მოემზადება.

— ბელფასტში დაცვის მარჯვენა ფრთამ ცუდად ითამაშა და ამიტომ ვეძებ ალტერნატივას — განაცხადა ბერტი ფოგტსმა — შაბათს, შტუტგარტში შტეფანის თამაშის სანახავად გავემგზავრები. რაც შეეხება იურგენ კლინსმანს, ორ თამაშსაც დავაცდი და გოლი თუ კიდევ ვერ გაიტანა, მაშინ მისი ხანდახან ნაკრებს გარეთ დატოვება მომიწევს.

მეკარეები — ოლივერ კანი (ბაიერნი), ანდრეას კეპკე (მარსელი, საფრანგეთი); მცველები — მარკუს ბაბელი (ბაიერნი), თომას ჰელმერი (ბაიერნი), იურგენ კოლერი (დორტმუნდი), თომას ლინკე (შალკე), იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი), შტეფან როიტერი (დორტმუნდი), კრისტიან ვიორნსი (ლევერკუზენი); ნახევარმცველები — მარიო ბასლერი (ბაიერნი), მარკო ჰაბერი (შტუტგარტი), თომას ჰესლერი (კარლსრუე), ანდრეას მიოლერი (დორტმუნდი), მიხაელ ტარნატი (ბაიერნი), მათიას ჰაგნერი (შტუტგარტი), იორგ ჰაინრიხი (დორტმუნდი), დარიუშ ვოში (ბოხუმი), კრისტიან ციგე (მილანი, იტალია); თავდამსხმელები — ოლივერ ბირჰოფი (უდინეზე, იტალია), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი), ულფ კირსტენი (ლევერკუზენი), იურგენ კლინსმანი (სამპდორია), ლარს რიკენი (დორტმუნდი).

### შვედეთი

ტომი სვენსონმა წინა შემადგენლობასთან შედარებით ერთადერთი სიახლე შეიტანა: ნაკრებში დააბრუნა როლანდ ნილსენი. შვედეთი 6-ში ავსტრიაში ითამაშებს, 10-ში კი ლატვიას უმასპინძლებს.

— ჩემი ფეხბურთელებისგან ნებისყოფის გამომჟღავნება მჭირდება — განაცხადა სვენსონმა.

მეკარეები — თომას რაველი (გიოტებორგი), მაგნუს ჰედმანი (ქოვენთრი, ინგლისი); მცველები — პატრიკ ანდერსონი (მიონხენგლადბახი, გერმანია), იოახიმ ბიორკლუნდი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), პონტუს კამარკი (ლესტერი, ინგლისი), იოზო მატოვაკი (ორგრიტე), როლანდ ნილსონი (ქოვენთრი, ინგლისი), გერი სუნდგრენი (სარაგოსა, ესპანეთი), მათიას ტილანდერი (მალმიო); ნახევარმცველები — ნიკლას ანდერსონი (გიოტებორგი), ანდერს ანდერსონი (ბლექბერნი, ინგლისი), იესპერ ბლომკვისტი (მილანი, იტალია), ჰაკან მილდი (სოსიედადი, ესპანეთი), იონას ტერნი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), პარ ზეტერბერგი (ანდერლეხტი, ბელგია); თავდამსხმელები — ანდრეას ანდერსონი (მილანი, იტალია), კენეტ ანდერსონი (მილანი, იტალია), მარტინ დალინი (ბლექბერნი, ინგლისი), იორგენ პეტერსონი (მიონხენგლადბახი, გერმანია), მატიას იონსონი (ჰელსინგბორგი)

### ავსტრია

— ვიცი, შვედები ფრეს არ დასჯერდებიან — განაცხადა ნაკრების თავკაცმა ჰერბერტ პროხასკამ — თუ ისინი სამ თავდამსხმელს გამოიყვანენ, მე სამი სტოპერით თამაში მომიწევს. ვნახავ, წინა დღეებში დავაკვირდები მეტოქეს და გადაწყვეტილებას ისე მივიღებ.

მეკარეები — მიხაელ კონსელი (რომა, იტალია), ფრანც ვოლფარტი (შტუტგარტი, გერმანია); მცველები — ვალტერ კოგლერი (ზალცბურგი), მიხაელ ჰაცი (რეჯანა, იტალია), ანტონ პფეფერი (აუსტრია), ვოლფგანგ ფაიერზინგერი (დორტმუნდი, გერმანია), პეტერ შიოტელი (რაპიდი); ნახევარმცველები — დიტმარ კუჰბაუერი (სოსიედადი, ესპანეთი), რომან მეჰლიჩი (შტურმი), გილბერტ პროლასნიგი (შტურმი), დიტერ რამუხი (გრაცერი), მარკუს შოპი (ჰამბურგი, გერმანია), პეტერ შტიოგერი (რაპიდი); თავდამსხმელები — ჰარალდ ჩერნი (მიუნხენ 1860, გერმანია), ანდრეას ჰერცოგი (ვერდერი, გერმანია), ჰაიმო ჰფაიფენბერგერი (ვერდერი, გერმანია), ანტონ პოლსტერი (კიოლნი, გერმანია), ივიცა ვასტიჩი (შტურმი).

## სამხრეთ ამერიკა

### არგენტინა

გაბრიელ ბატისტუტა დანიელ პასარელამ კვლავ ნაკრებს მიღმა დატოვა. ოფიციალური ვერსია ასეთია: ბატისტუტას ყოველმხრივ სჯობია „პარმას" ფორვარდი ერნან კრესპო, ხალხი კი ამბობს, პასარელას ბატისტუტასთან პირადი ურთიერთობა აქვს ცუდიო. 10 სექტემბერს არგენტინა სანტიაგოში ჩილეს ეთამაშება.

მეკარეები — კარლოს როა (მალიორკა, ესპანეთი), პაბლო კავალერო (ველეზ სარსფილდი), იგნასიო გონსალესი (რასინგი); მცველები — რობერტო აიალა (ნაპოლი, იტალია), რობერტო სენსინი (პარმა, იტალია), ხოსე შამოტი (ლაციო, იტალია), პაბლო პასი (ტენერიფე, ესპანეთი), მაურისიო პინედა (ბოკა ხუნიორსი), ხავიერ ძანეტი (ინტერი, იტალია); ნახევარმცველები — მატიას ალმეიდა (ლაციო, იტალია), ლეონარდო ასტრადა (რივერ პლეიტი), კრისტიან ბასედასი (ველეზ სარსფილდი), ხუან ხოსე ბორელი (რივერ პლეიტი), სერხიო ბერტი (რივერ პლეიტი), დიეგო სიმეონე (ინტერი, იტალია), ხუან ვერონი (სამპდორია, იტალია), მარსელო გალიარდო (რივერ პლეიტი), არიელ ორტეგა (ვალენსია, ესპანეთი); თავდამსხმელები — ლეონარდო ბიაჯინი (მერიდა, ესპანეთი), ერნან კრესპო (პარმა, იტალია), კლაუდიო ლოპესი (ვალენსია, ესპანეთი), მარტონ პოსე (ველეზ სარსფილდი).

# სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. V ტური

29 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოხუმი — კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| ჰერტა — ჰამბურგი | 1,7 | 3,0 | 3,6 |

30 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| მიუნხენი — არმინია | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| შტუტგარტი — დორტმუნდი | 2,1 | 2,8 | 2,7 |
| შალკე — მიონხენგლადბახი | 1,6 | 2,8 | 4,7 |
| კიოლნი — ვოლსფბურგი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| ვერდერი — ლევერკუზენი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ჰანზა — ბაიერნი | 4,0 | 3,1 | 1,6 |

31 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლსრუე — დუისბურგი | 1,3 | 3,4 | 6,5 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. V ტური

29 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| უნტერჰახინგი — ვატენშაიდი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ურდინგენი — კოტბუსი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| მაინცი — ცვიკაუ | 1,3 | 3,6 | 6,0 |

30 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| გიუტერსლო — ლაიპციგი | 1,8 | 2,8 | 3,4 |

31 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ფიურტი — დიუსელდორფი | 2,1 | 3,0 | 2,5 |
| მეპენი — კიკერსი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| აინტრახტი — ნიურნბერგი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| კარლ ცაისი — ფრაიბურგი | 2,1 | 3,0 | 2,5 |
| ზანქტ პაული — ფორტუნა | 1,6 | 3,1 | 4,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. V ტური

30 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ტოტენჰემი | 1,5 | 3,2 | 4,4 |
| ასტონ ვილა — ლიდსი | 1,7 | 2,9 | 3,8 |
| ჩელსი — საუთჰემპტონი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| კრისტალ პალასი — ბლექბერნი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| დერბი — ბარნსლი | 1,3 | 3,6 | 6,0 |
| მანჩესტერი — ქოვენთრი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| შეფილდი — ლესტერი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| ვესტ ჰემი — უიმბლდონი | 1,8 | 3,0 | 3,2 |

31 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ლივერპული — ნიუკასლი | 1,7 | 2,9 | 3,8 |

1 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლტონი — ევერტონი | 1,7 | 3,0 | 3,6 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. IV ტური

30 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩარლტონი — სიტი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ქრიუ — პორტ ვეილი | 2,0 | 2,9 | 2,8 |
| ჰადერსფილდი — შეფილდი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| იფსვიჩი — ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| ნოტინგემი — ქუინზ პარკი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| პორტსმუთი — ოქსფორდი | 1,3 | 3,6 | 6,0 |
| რედინგი — ბრედფორდი | 1,8 | 2,9 | 3,3 |
| სტოკპორტი — ბირმინგემი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| სტოკ სიტი — სვინდონი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| სანდერლენდი — ნორვიჩი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ტრანმერი — მიდლსბრო | 2,0 | 3,0 | 2,7 |
| ვულვერჰემპტონი — ბერი | 1,2 | 4,0 | 8,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. V ტური

30 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი — ლე ავრი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ბორდო — ოსერი | 1,6 | 2,9 | 4,4 |
| მონაკო — მეცი | 1,6 | 2,9 | 4,4 |
| გინგამი — მარსელი | 1,9 | 2,8 | 3,1 |
| ლანსი — მონპელიე | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ლიონი — ბასტია | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| პსჟ — რენი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| შატორუ — კანი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| ტულუზი — სტრასბური | 1,9 | 2,9 | 3,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. I ტური

31 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — ბოლონია | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| ბარი — პარმა | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| ემპოლი — რომა | 2,8 | 2,9 | 2,0 |
| ინტერი — ბრეშია | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| იუვენტუსი — ლეჩე | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ლაციო — ნაპოლი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| პიაჩენცა — მილანი | 3,8 | 3,2 | 1,6 |
| სამპდორია — ვიჩენცა | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| უდინეზე — ფიორენტინა | 2,0 | 3,0 | 2,7 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. I ტური

31 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ანკონა — ტორინო | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| კალიარი — ტრევიზო | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| კიევო — რეჯინა | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ლუკეზე — რავენა | 2,1 | 2,9 | 2,6 |
| მონცა — პესკარა | 2,0 | 2,9 | 2,8 |
| პადოვა — დი სანგრო | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| პერუჯა — ფ. ანდრია | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| რეჯანა — ფოჯა | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| სალერნიტანა — ვერონა | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ვენეცია — ჯენოა | 2,3 | 2,9 | 2,3 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. I ტური

31 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ოვიედო — მერიდა | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| სელტა — სარაგოსა | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| ბილბაო — ესპანიოლი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ვალიადოლიდი — ბეტისი | 2,0 | 2,9 | 2,8 |
| რეალი — ატლეტიკო | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| რასინგი — სალამანკა | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ბარსელონა — სოსიედადი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| მალიორკა — ვალენსია | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ტენერიფე — დეპორტივო | 1,9 | 2,7 | 3,2 |
| კომპოსტელა — სპორტინგი | 1,6 | 3,0 | 4,2 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. I ტური

31 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ერკულესი — რაიო | 1,7 | 2,9 | 3,8 |
| ლევანტე — ტოლედო | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| ლეგანესი — ეიბარი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ნუმანსია — ელჩე | 1,7 | 2,9 | 3,8 |
| ალავესი — ალბასეტე | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| ოსასუნა — ვილიარეალი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| ატლეტიკო B — ლას პალმასი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| სევილია — ლეიდა | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ლოგრონიესი — ორენსე | 1,25 | 3,6 | 7,0 |
| ბადახოსი — ხაენი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ესტრემადურა — ხერესი | 1,2 | 4,0 | 8,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. II ტური

30 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| პორტუ — ბელენენსეში | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ამადორა — ვარზიმი | 1,25 | 3,6 | 7,0 |
| ლეცა — მარიტიმუ | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| კამპომაიორენსე — სალგეირუში | 2,4 | 2,9 | 2,2 |
| სეტუბალი — ბენფიკა | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| აკადემიკა — ბოავიშტა | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| რიუ ავე — გიმარაეში | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| სპორტინგი — შავეში | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ბრაგა — ფარენსე | 1,3 | 3,6 | 6,0 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XXV ტური

30 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტაკი — ზენიტი | 1,15 | 4,4 | 9,0 |
| ალანია — ნოვგოროდი | 1,1 | 5,3 | 9,0 |
| დინამო — ფაკელი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| როტორი — ლოკომოტივი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| ტორპედო — კრილია | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ჩერნომორეცი — ცსკა | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| კამაზი — ტიუმენი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ჟემჩუჟინა — როსტსელმაში | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| შინიკი — ბალტიკა | 1,9 | 2,7 | 3,2 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. III ტური

30 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰერენვენი — მაასტრიხტი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| როდა — გრონინგენი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ბრედა — ნაიმეგენი | 1,3 | 3,6 | 6,0 |
| ეინდჰოვენი — ტილბურგი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| სიტარდი — ვალვაიკი | 1,6 | 3,1 | 4,0 |

31 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ფეიენოორდი — გრააფსხაპი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| უტრეხტი — აიქსი | 6,0 | 3,6 | 1,3 |
| ტვენტე — სპარტა | 1,3 | 3,6 | 6,0 |

2 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლენდამი — ვიტესი | 2,3 | 2,9 | 2,3 |

### ბელგიის ჩემპიონატი. IV ტური

30 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ვესტერლო — ჰარელბეკი | 2,4 | 2,9 | 2,2 |
| შარლერუა — გენტი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ლოკერენი — მუსკრონი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| ანდერლეხტი — გენკი | 1,5 | 3,2 | 4,4 |
| ლომელი — მოლენბეკი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| სტ. ტრიუდენი — ანტვერპენი | 1,8 | 3,0 | 3,2 |

31 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ეკერენი — სტანდარდი | 1,8 | 2,9 | 3,3 |
| აალსტი — ლიერსი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ბრიუგე — ბევერენი | 1,1 | 5,0 | 10,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. IV ტური

30 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — დანდი იუნაიტედი | 1,7 | 2,9 | 3,8 |
| დანფერმლაინი — სტ. ჯონსტონი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ჰართსი — ჰიბერნიენი | 2,1 | 3,0 | 2,5 |

1 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — რეინჯერსი | 2,7 | 3,0 | 2,0 |
| კილმარნოკი — მოზერველი | 1,8 | 2,8 | 3,4 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. X ტური

30 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| რიდი — ადმირა | 1,3 | 3,6 | 6,0 |
| აუსტრია — გრაცერი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| ლუსტენაუ — ტიროლი | 1,9 | 2,6 | 3,3 |
| ზალცბურგი — ლინცერი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| შტურმი — რაპიდი | 1,5 | 3,1 | 4,7 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. IX ტური

30 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| გრასჰოპერი — ლოზანა | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| სერვეტი — არაუ | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| სიონი — კრინსი | 1,35 | 3,2 | 6,0 |
| ქსამაქსი — ბაზელი | 1,3 | 3,4 | 6,5 |

31 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ლუცერნი — კარუჟი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| სტ. გალენი — ციურიხი | 1,7 | 2,9 | 3,8 |

### თურქეთის ჩემპიონატი. IV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| ალთაი — ფენერბაჰჩე | 7,0 | 3,6 | 1,25 |
| გალათასარაი — ვანსფორი | 1,01 | 7,0 | 16,0 |
| ისთანბულსფორი — ბურსასფორი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| სამსუნსფორი — ბეშიქთაში | 7,0 | 4,2 | 1,2 |
| ტრაბზონსფორი — ანთალიასფორი | 1,1 | 5,0 | 10,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.
კოეფიციენტებს შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ჩოგბურთი

# ფლაშინგ მიდოუზს შავი გადაჰკრავს


საზეიმო ბათქა-ბუთქი ცენტრალურ კორტზე

US OPEN
A USTA EVENT

ორშაბათს ნიუ იორკში „ფლაშინგ მიდოუზის" კორტებზე სეზონის უკანასკნელი დიდი სლემის ტურნირი — ამერიკის ღია პირველობა დაიწყო. ამ დღეს ამერიკელებმა დიდი ზარზეიმით გახსნეს ახალი, 23-ათასიანი მთავარი კორტი, რომელსაც თანამემამულე ზანგი ჩემპიონის, არტურ ეშის სახელი მიანიჭეს. ფერადი ამერიკის გასახარად, ცერემონიალზე შავი პოპ-საოცრება უიტნი ჰიუსტონი ამღერეს და პირველი მატჩებიც კიდევ უფრო შავ ჩანდა რუბინსა და ვინუს ვილიამსს ათამაშეს. ასეთი „შავბნელი" დასაწყისის მიუხედავად ნიუ იორკში ამინდიც შესანიშნავია და თამაშის ხარისხსაც არ უჩივიან. პირველობის მთავარი პრეტენდენტები, რაღა თქმა უნდა, მსოფლიოს პირველი ჩოგნები — პიტ სამპრასი და მარტინა ჰინგისი არიან. წლეულს ამათ დიდი სლემის ორ-ორი ტურნირი — ავსტრალია და უიმბლდონი მოიგეს და, მადაც, აკი, ჭამაში მოდის.

გახსნის ცერემონიალს 37 ყოფილი ჩემპიონი ესწრებოდა. მათ შორის შარშანდელი გამარჯვებული, გერმანელი შტეფი გრაფიც, რომელიც მუხლის ტრავმის გამო წლევანდელ პირველობას გამოტოვებს. იგი ავსტრალიის ღია ჩემპიონატისთვის ფორმაში ჩადგომას შეპირდა ჟურნალისტებს. კითხვაზე, ჰინგისის მოგება თუ შეგეძლებათო, ეს უპასუხა — ასე რომ არ ვფიქრობდე, არც დავბრუნდებოდიო. როგორც მოსალოდნელი იყო, ნიუ იორკის ახლანდელი მერი რუდოლფ ჯულიანი გახსნაზე არ გამოცხადდა, რაკილა ორგანიზატორებთან უთანხმოება აქვს. სამაგიეროდ, ექს-მერი და ჩოგბურთის დიდი ტრფიალი დევიდ დინკინსი, ვინაც კორტების ტერიტორიის ორჯერ გაზრდაში თავის დროზე ლომის წილი დაიდო, სტადიონზე შეკრებილმა საზოგადოებამ თბილად მიიღო.


რუზეცკიმ, როგორც იქნა, იმარჯვა

### ორშაბათი

ახალ ცენტრალურ კორტზე პირველი მატჩის გამართვის პატივი ჩანდა რუბინსა და ტაილანდელ თამარინე თანასუგარნს ერგოთ. პირველი ქულა მასპინძელმა რუბინმა კი მიითვალა, მაგრამ მერე საქმე ცუდად წაუვიდა და 20 წლის ტაილანდელთან 4:6, 0:6 წააგო. სამაგიეროდ, მეორე შავკანიანმა ამერიკელმა ვინუს ვილიამსმა იხეირა და ლატვიელ ლარისა ნეილანდს 5:7, 6:0, 6:1 მოუგო, თანაც მატჩი 119 მილ-სთ სიჩქარის ეისით დაამთავრა, რაც ქალთა ჩოგბურთში მეორე შედეგია. ჩემპიონატის ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა, ამერიკელმა მონიკა სელეშმა (2) ჰოლანდიელი კრისტი ბუგერტი დაამარცხა 6:1, 6:2. გერმანელმა ანკე ჰუბერმა (8) იტალიელ გლორია პიციკინის მოუგო 6:2, 6:2, რუმინელმა ირინა სპირლეამ (11) — მასპინძელ ემი ფრეზერს 6:1, 6:1. რუსმა ანა კურნიკოვამ ძლიერი ბელგიელი საბინე აპელმანსი გაანადგურა 6:2, 6:0. გავარდნენ პირველი განთესილებიც: ამასწინათ ჩვენებურ ლუარსაბიშვილის მძლეველმა სამხრეთაფრიკელმა ჯოანეტ კრუგერმა ავსტრიელი ბარბარა პაულუსი (14) ააბარგა 6:1, 6:7, 6:1, ამერიკელმა ლაიზა რეიმონდმა კი რუმინელი რუქსანდრა დრაგომირი (15) 6:2, 3:6, 6:3.

მამაკაცთა შორის პირველი დიდი სენსაცია მოხდა, რომლის ავტორი კვლავ გორან ივანიშევიჩი (4) გახლდათ. ზორბა ხორვატს ლონე არ აკლია, მაგრამ ხერხსა და მოგონებაზე ცოტა მწყრალად არის და მხოლოდ ეისებითღა აშინებს მეტოქეებს, ხოლო როცა მოწოდება არ გამოსდის, ვერც წინ მიიწევს. როლან გაროსზე გორანი პირველ წრეში გავარდა, უიმბლდონზე — მეორეში, ამერიკის ღია პირველობაზე კი მისი გამამწარებელი მსოფლიოს 91-ე ჩოგანი, რუმინელი დინუ პესკარიუ შეიქნა. ორსაათნახევრიან მატჩში ხორვატმა 24 ეისი კი მოაწოდა, მაგრამ ამას 75 უნებლიე შეცდომაც დაუმატა და 6:4, 5:7, 1:6, 6:7 დამარცხდა.

სხვა განთესილებს ამ დღეს არ გასჭირვებიათ. ესპანელმა ფელიქს მანტიამ (12) ავსტრალიელი ჯეისონ სტოლტენბერგი დაამარცხა 7:6, 6:3, 6:2, ჩეხმა პეტერ კორდამ (15) — ამერიკელი ვინს სპედეა 2:6, 7:5, 7:6, 6:4, ავსტრალიელმა მარკ ფილიპუსისმა (14) — მაროკოელი ქარიმ ალამი 6:3, 6:4, 3:6, 6:4, პიტ სამპრასმა (1) კი — ავსტრალიელი ტოდ ლარქჰემი 6:3, 6:1, 6:3. დღის ყველაზე საინტერესო შეხვედრაში ორი ბობოლაყოფილი ამერიკელი ტოდ მარტინი და ჯიმ კურიე შეხვდა ერთმანეთს. ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ ეს მარტინის პირველი მატჩი იყო, მაგრამ გამარჯვება ოთხ სეტში მაინც მას დარჩა 3:6, 6:3, 6:4, 6:2. გაინგლისელებულმა კანადელმა გრეგ რუზეცკიმ მასპინძელ დევიდ უიტონს მოუგო 6:2, 6:3, 6:3. რუზეცკი აქამდე ზედიზედ სამჯერ პირველივე წრეში გავარდნილიყო, საუკეთესო ოცეულში შეღწევამ, ეტყობა, სტიმული შემატა.

### სამშაბათი

სამშაბათს პირველობაში სხვა ძირითადი პრეტენდენტებიც ჩაერთვნენ. შარშანდელმა ფინალისტმა, ამერიკელმა მაიკლ ჩანგმა გახსნის ცერემონიალზე მიუწვევლობის ჯავრი შვედ პატრიკ ფრედრიქსონზე იყარა — 6:3, 6:4, 6:2. როლან გაროსის გამარჯვებული, ბრაზილიელი გუსტავო კურტენი (9) უიმბლდონის დარად კინაღამ პირველ წრეშივე გავარდა. მასპინძელ ჯეფ გრანტის საძლევად მას ხუთი სეტი დასჭირდა — 6:4, 3:6, 6:7, 6:2, 6:3. შარშან კლასიფიკაციასთან შედარებით დაბალი განთესვით განაწყენებულმა ევგენი კაფელნიკოვმა ამერიკის ღია ჩემპიონატს ბოიკოტი გამოუცხადა. წლის სოჭელი კვლავ მსოფლიოს მეხამე ჩოგანია, თუმცა, ორგანიზატორებმა თავი არ აიტკივეს და მესამედვე განთესეს. რუსის პირველი მოწინააღმდეგე ნაკლებადცნობილი იტალიელი კრისტიანო კარატი იყო. საათსა და 44 წუთში „კალაშნიკოვმა" გაიმარჯვა — 6:2, 6:4, 7:6. მატჩის შემდეგ ინტერვიუში კაფელნიკოვმა კმაყოფილება გამოთქვა თავისი თამაშით და ისიც დაამატა, წლის დასაწყისში სამი თვე რომ არ გამცდენოდა ტრავმის გამო, ახლა შეიძლება მსოფლიოს პირველი ჩოგანი ვყოფილიყავიო. (იმედია, ეს სიტყვები სამპრასამდე არ მიაღწევს). ესპანელმა ალექს კორეჩამ (6) ერთ დროს მრისხანე შვეიცარიელი მარკ როსე დაამარცხა ოთხ სეტში — 4:6, 6:3, 6:2, 6:2, სხვა განთესილ ესპანელებს კი შავი დღე ედგათ: კარლოს მოიამ (8) წინა კვირაში ტურნირი კი მოიგო, მაგრამ მხარი იტკინა და სათვალეებიან ფრანგ გიიომ რაუს წინააღმდეგობა ვერ გაუწია 4:6, 6:7, 2:6. მეთექვსმეტედ განთესილი ესპანელი ალბერტ კოსტაც ფრანგმა — არნო ბოოჩმა იმსხვერპლა — 6:2, 6:4, 6:4.

უიმბლდონის შარშანდელმა ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა რიხარდ კრაიჩეკმა ზიმბაბველ უეინ ბლექს მოუგო 6:4, 6:2, 6:2, უფროსი ბლექი — ბაირონი კი ავსტრალიელმა მარკ ვუდფორდმა დაამარცხა — 7:6, 6:3, 6:3. გერმანელთა იმედმა ტომი ჰაასმა თანამემამულე ოლივერ გროსი დაჯაბნა — 6:3, 6:4, 2:6, 6:4. კავკასიის ობოლმა წარმომადგენელმა — სარგის სარგსიანმა კი შესაშური ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა და პირველი ორი ხელის წაგების მიუხედავად, ესპანელთა


ბრუქ შილდსი მეუღლეს ქომაგობს

ამომავალ ვარსკვლავს — ხულიან ალონსოს მაინც აჯობა — 2:6, 0:6, 6:0, 6:4, 6:4. მასპინძელთა ძირითადი ყურადღება ანდრე აგასისკენ იყო მიპყრობილი. მიზეზთა და მიზეზთა გამო აგასის წლეულს ყველა დიდი სლემის ტურნირი გაუცდა, შვიდ ტურნირში პირველივე წრეში გავარდა და კლასიფიკაციაში 63-ე ადგილამდეც ჩამოქვეითდა. ამ დღეს მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა თავისი თამაშით გარდასული დიდების დღეები დროდადრო მაინც შეახსენა მაყურებელს. თუმცა სტივ კემბელთან მესამე ხელში ისე საშინლად ირჯებოდა, თვით მეუღლის — პირმშვენიერი ბრუქ შილდსის გულისწყრომაც კი დაიმსახურა. საბოლოოდ 6:1, 6:1, 4:6, 6:3 აგასის სასარგებლოდ. ტომას ენკვისტმა (11) თამაში ვერ შეძლო და მასპინძელ მაიკლ ჯოისს უბრძოლველად დანებდა.

ქალებს შორის სამშაბათს არც ერთი განთესილი არ გავარდნილა. პირველი შეხვედრა გამართა მარტინა ჰინგისმა. მისი მეტოქე ამერიკელი ტამი ჯოუნსი იყო. მატჩმა ინტერესი იმითაც გამოიწვია, რომ ჯოუნსი 3 თვის ფეხმძიმე გახლდათ. „უცნაური იყო, რომ ერთდროულად ორი ადამიანის წინააღმდეგ მიწევდა თამაში, თუმცა, მეტოქეს მუცელი არც კი ეტყობოდა" — თქვა ჰინგისმა. მარტინა ცდილობდა, ნაკლები ერბენინებინა მოწინააღმდეგე, მაგრამ ანგარიშზე ამას არ უმოქმედია — 6:0, 6:1. ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია ესპანელი კონჩიტა მარტინესისა (7) და ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატის შეხვედრამ, თუმცა, ამ უკანასკნელმა ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მეტოქეს, 1:6, 2:6 დამარცხდა და უმალ ახალი მწვრთნელის მოძებნის სურვილიც გამოთქვა.

**ავთანდილ სვანიძე**

**პირველი წრე:** იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) — ვირხინია რუანო-პასკუალი (ესპანეთი) 6:0, 6:4; ივა მაიოლი (4, ხორვატია) — კატალინა კრისტეა (რუმინეთი) 6:3, 6:2; ამანდა კუტცერი (5, სამხრეთი აფრიკა) — ნიკოლ არენდტი (აშშ) 6:3, 6:2; ლინდსი დევენპორტი (6, აშშ) — ლორი მაკნეილი (აშშ) 6:2, 7:6; მარი პირსი (9, საფრანგეთი) — ჯიჯი ფერნანდესი 6:1, 6:2; არანჩა სანჩეს ვიკარიო (10, ესპანეთი) — ჯერი-ენ გიუზი (ავსტრალია) 6:2, 6:4; მერი ჯო ფერნანდესი (12, აშშ) — ნაოკო კიჯიმუტა (იაპონია) 6:2, 6:3; ბრენდა შულც-მაკარტი (13, ჰოლანდია) — ასა კარლსონი (შვედეთი) 6:7, 6:3, 6:4.

ოლიმპიადა 2004

# კეიპტაუნი მთელი აფრიკაა!

5 სექტემბრამდე, ანუ 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქის არჩევის დღემდე ცოტა დროღა რჩება. კანდიდატების მხარდამჭერნი კი ძალ-ღონეს არ იშურებენ და მათი ფავორიტების რეკლამირებას ცდილობენ, ზოგნიც კი კონკურენტთაგან წაყენებული ბრალდებების უარყოფაშია.

ასე, მაგალითად: ადრე გაცნობეთ, რომ საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რომსა და რომის ქომაგთ ბრალი დასდო, თუ ოლიმპიადის მასპინძლობა მოიპოვეთ, ამაში უდაოდ ცნობილი კოზა ნოსტრას ხელი ერევაო. იქვე ისიც დაამატა, ასეთი დონის შეჯიბრების გამართვა თქვენთან სახიფათოა, ადამიანის უფლებები ირღვევა და იტალიაში მაფია მძვინვარებსო. ეს უქმეები სიცილიის ანტიმაფიური ჯგუფის წარმომადგენლებმა ამ სიტყვების უარყოფაში გაატარეს. ამ ორგანიზაციის თავმჯდომარემ ფაბიო გრანატამ განაცხადა, თუ იტალიაში სისხლისღვრაა და ტერორისტები მძლავრობენ, საკითხავია, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სიცილიაში, კოზა ნოსტრას [illegible] მსოფლიოს [illegible].

სანამ რომის მხარდამჭერნი სიმართლეს ამტკიცებენ, აფრიკის ხალხთა კავშირმა აიმაღლა ხმა და ამ ორგანიზაციის გენერალური მდივნის სალიმ ახმედ სალიმის პირით განაცხადა, თუ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ინებებს და ოლიმპიადის მასპინძლობას კეიპტაუნს არგუნებს, დიდად მადლობელნი დავრჩებით, რადგან ეს ნაბიჯი მარტო სამხრეთ აფრიკას კი არა, მთელი აფრიკის წინსვლას შეუწყობს ხელსო. სალიმის თქმით, კეიპტაუნი ახლა ეკონომიკურად ძლიერ განვითარდა, თან არანაირი საშიშროება აღარ არსებობს იმისა, რომ ძველი საშინელებები განმეორდეს. მან ბევრი ისაუბრა ოლიმპიადის შავ კონტინენტზე ჩატარების აუცილებლობაზე, ბოლოს კი დასძინა, კეიპტაუნის მასპინძელ ქალაქად არჩევა მთელი აფრიკის გამარჯვება იქნებაო.

**ირაკლი ბუბუშვილი**

ჰოკეი

# მოკლავდნენ, აბა, რას იზამდნენ

ამ დღეებში მოსკოვი, რუსებს რომ უყვართ თქმა, დიდი ჰოკეით ცხოვრობდა: დასრულდა „სპარტაკის თასის" მეოთხე გათამაშება, რომელშიც, უკვე ტრადიციულად, მსოფლიოს მოდებულმა რუსული ჰოკეის ვარსკვლავებმაც იასპარეზეს ცალკე გუნდად და ტრადიციულადვე გაიმარჯვეს, თუმცა ამჯერად დიდის ვაი-ვაგლახით. ვარსკვლავებმა პირველსავე მატჩში, მოსკოვის „სპარტაკთან" წაიტეხს კისერი (2:3), მერე ცესკას კი მოუგეს იოლად (5:1), მაგრამ ძლივს, ბულიტებითღა დაამარცხეს ყაზანის „აკ ბარსი", ფინალიში კი, ფაქტობრივად ზრდილობის გულისთვის გამოსულ ტოლიატის „ლადას" 5:2 აჯობეს. ტოლიატელებმა 6 სექტემბერს ევროპის სუპერთასის მატჩი უნდა ითამაშონ გერმანიაში და ფინალამდე ნახევარი გუნდი იქ გაიკრიფა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ამ ტურნირს მეტ-ნაკლები სენსაციებიც ახლდა, მაგრამ იმ დღეებშივე გახმაურებულმა რუსულ ჰოკეისთან დაკავშირებულმა ერთმა ამბავმა ეს ყოველივე აშკარად დაჩრდილა. ცნობილი გახდა, რომ რუსეთის „კომპეტენტურმა ორგანოებმა" დააკავეს 10 კაცი, რომელთაც ბრალად ედებათ რუსეთის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტის ვალენტინ სიჩის მკვლელობა. დაკავებულთაგან ერთი რუსეთის ჰოკეის ლიგის წინამორბედის — „ნჰლ"-ის ყოფილი პრეზიდენტი რობერტ ჩერენკოვია. საქმეში ჩახედული ხალხი ამაში მოულოდნელს ვერაფერს ხედავს და იხსენებენ ამ რამდენიმე წლის წინანდელ პერიოდს, როცა რუსული ჰოკეის მაღალ ეშელონებში ფიცხელი შეხლა-შემოხლა გაჩაღდა ფედერაციის პრეზიდენტის სავარძელში ჩასაჯდომად. მაშინ რუსული სპორტის უფრო ავტორიტეტულმა ფუნქციონერმა სიჩმა იმარჯვა, რომელიც თავის დროზე საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარეც გახლდათ. კონფლიქტის სიმძაფრის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ ჰოკეის ფედერაციას სპირტიანი სასმელების შემოტანისას შეღავათები და პრივილეგიები ეკუთვნოდა. ერთი სიტყვით, საქმეში დიდი ფული იყო გარეული და, ვარაუდობენ, რომ სიჩიც სწორედ ამას გადაჰყვა.

**სამველ ლარიბიანი**

აკრობატიკა

# შინ ჯდომით, ვის რა ხეირი?

ოთხი თვეა, რაც ქართველი აკრობატები ინგა გიორგობიანი და ნატაშა ანისიმოვა სპორტს დაუბრუნდნენ. გოგონებმა შედარებით ახალბედა დარინა ქენქაძესთან ერთად შექმნეს აკრობატთა სამეული. ეს ოთხი თვეა, ისინი ტანვარჯიშის სკოლის დარბაზში ვარჯიშობენ და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან. დღემდე მათ არანაირ ტურნირში არ უასპარეზებიათ და მხოლოდ შინაურ შეკრებას სჯერდებიან. ერთის მხრივ, იქნებ ცუდია, რომ საერთაშორისო სარბიელზე საკუთარი ძალების შემოწმება ვერ მოახერხეს, მაგრამ თავად სამეული სხვაგვარად ფიქრობს: მიაჩნიათ, რომ ტურნირებში მონაწილეობა, უცხო ქვეყნებში მგზავრობა ბევრ დროს წაართმევთ. მათ ისევ თბილისში უწყვეტი ვარჯიში უჯობთ. სამეულს, რომ იტყვიან, წამებიც დათვლილი აქვს, ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატი კარს არის მომდგარი და ეშურებიან, რომ მანამდე სასურველ ფორმაში შესვლა მოასწრონ.

როცა ინგა და ნატაშა ისვენებდნენ, დარინა ქენქაძე განუწყვეტლივ ვარჯიშობდა. აი, გიორგობიანისა და ანისიმოვას საქმეა მართლა საკვირველი — გოგონებს 5 წელი დარბაზში ფეხი არ შეუდგამთ და მაინც მსოფლიოს საუკეთესო აკრობატებთან შეტოქებას აპირებენ. საუკეთესონი კი რუსი, უკრაინელი და ჩინელი აკრობატები არიან — მათი სამეულები იქნებიან ჩვენებურთა მთავარი კონკურენტები მედლებისთვის ბრძოლაში. დიახ, მედლები — მიუხედავად ხანგრძლივი შესვენებისა, სამეული სასეირნოდ როდი მიდის ინგლისში, მიზანი სერიოზული აქვთ და ხელმოცარულნი არ აპირებენ იქიდან დაბრუნებას. მით უმეტეს, ინგა და ნატაშა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები არიან, გამოცდილება არც დარინა ქენქაძეს აკლია. რაც შეეხება მომავალ მეტოქეებს, მათ შესახებ გოგონებმა თითქმის არაფერი იციან — ეგ არის, მხოლოდ დღევანდელი გერმანიის ევროპის ჩემპიონატის ვიდეოფირი მოიგდეს ხელთ და ამის მაშუალებით შეისწავლეს საინგლისო მეტოქენი.

ჩვენში ბოლოხანს, აბა, გაწბილებული და უჩემპიონატებოდ დარჩენილი სპორტსმენების მეტი რა მინახავს, მაგრამ, იმედია, სპორტის დეპარტამენტის თავკაცები მისცემენ თავის გამოჩენის შანსს გოგონებს, მით უმეტეს, რომ ჩემპიონატზე წარმატებით გამოსვლა რეალობაა. ალბათ, ამასაც გაითვალისწინებენ — თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ გაამგზავრებენ, შესაძლოა, მალე ამოეწუროთ ენთუზიაზმი და საკუთარ ქვაბში ხარშვა შეწყვიტონ — უპერსპექტივო და უაზრო ვარჯიშს შინ ჯდომა არჩიონ.

**ჯაბა ლეონიძე**

# ხსოვნა სიყვარულის წილ

ამ კაცს თავდავიწყებით უყვარდა ჩოგბურთი — ნიადაგ მოუცლელი და საქმით დატვირთული თავისუფალ დროს გამონახავდა თუ არა, მას აუცილებლად ჩოგბურთის კორტზე ატარებდა, საქმეს კი რა გამოულევდა — ტარიელ მდივნიშვილი კონცერნ „საქავტოგზის" თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა და მთელი ცხოვრება გზების გაყვანასა და მათ აღდგენას მოახმარა.

ჩოგბურთის ასეთი ტრფიალის პატივსაცემად ახლახან ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე ჩატარდა ტარიელ მდივნიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოყვარულ ჩოგბურთელთა ტურნირი, რომლის თაოსნებს განზრახული აქვთ, იგი ტრადიციული გახადონ. ისინიც და შეჯიბრის მონაწილენიც დიდ მადლობას უხდიან ლეილა მესხს, რომელიც მუდამ გულისხმიერად ეპყრობა ვეტერან ჩოგბურთელებს და ამჯერადაც თავის წილი დაიდო მათი სურვილის ასრულებაში.

## სამხრეთი ნახევარსფეროს სამეულის სერიალი

# ლელოთ-ცვენა

სადაო არ უნდა იყოს, რომ უმაღლესი დონის რაგბი დღესდღეობით სამეულის სერიალში ითამაშება. ივლისში მელბურნში გამართული ისტორიული მატჩის ამსახველ აქ მოტანილ სურათზეც მოთამაშენი იმხელაზე აჭრილან ცაში, რომ მნახველი უნებურად გაოგნდება.

წლევანდელი ევროპული ხუთი ერის პირველობა ჯობდა შარშანდელს. სამეულშიც ასე იყო, რასაც თანდართული ცხრილები მოწმობენ.

წელს ნაღდი ლელოთცვენა მოვიდა. შარშან სამხრეთელებს მატჩში საშუალოდ 3,33 ლელო გაქონდათ. წელს ეს მაჩვენებელი უმაგალითოდ ბევრი — 8,00 გამოვიდა!

შარშან გუნდები ორჯერ ულელოოდ დარჩნენ, ოთხჯერ კი ოდენ თითო ლელოს დაჯერდნენ. მეოთხეს გატანისთვის დაწესებული პრემიალური ქულაც ერთადერჯერ გაიცა: ერგო ზელანდიას, ვინაც დადედლებული ავსტრალია ავდარში გაანადგურა.

წელს გუნდებმა მინიმუმ ორი ლელო ყოველთვის გაიტანეს, ოთხლელოიანი ზღვრის დაძლევისთვის კი პრემიებად 6 ქულა დარიგდა. ანგარიშებიც შესამჩნევად გაიზარდა და ძნელი დასათვლელი და დასახსომებელი შეიქნა. რას გააწყობ, თუ ასეთია პროგრესის საზღაური!

გუნდების ჯამურ მონაგარში ლელოს წილიც გაიზარდა და სამაგალითო 60 პროცენტს უწია. ვინც მეტ ლელოს გაიტანს, თამაშსაც თითქმის ყოველთვის ის იგებს. წელს ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი აღინუსხა და ისიც ძლიერ ქარში, როცა ზელანდიამ შესვენებამდე 36-ქულიანი ფორა მიიღო და მერე თავი აღარ გამოუდია, ავსტრალიამ კი ერთბაშად ოთხ ლელოს გამოკრა ხელი და მაინც წააგო.

ლელოთა ნიაღვარმა რაგბი საცქერლად ბევრად უფრო საამური გახადა. ახლა მსოფლიოში ძნელად თუ დაიძებნება ბურთაობა, რომელშიც ხელით თამაში და ძალისმიერი შეხლა-შემოხლაა დაშვებული და სანახაობრივად რაგბსა ჯობს, თუმც კი ისიც თქმულა, გემოვნებაზე არ დაობენო.

| | ხუთი ერი | | სამეული | |
|---|---|---|---|---|
| წელი | 96 | 97 | 96 | 97 |
| ქულა | 355 | 511 | 260 | 403 |
| ლელო | 30 | 53 | 20 | 48 |
| წილი% | 42.3 | 51.9 | 38.5 | 59.6 |



„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

სამეულის სერიალის გუნდები ერთთავად შეტევაზე ფიქრობენ, რადგან იქ თუ თავად არ შეუტევ, იერიშზე მეტოქე გადმოვა და დაგალელოვებს. ფეხით თამაში გაიშვიათდა, მაგრამ მაინც ძველებურად ფასობს. კარში დამრტყმელები მიზანს თითქმის აღარ აცილებენ ბურთს. სამხრეთული რაგბიც ლამისაა მთლად კალათბურთს დაემსგავსოს: მეტოქის ნახევრიდან უქულოდ არ უნდა დაბრუნე, თორემ ჩამორჩები.

წესების სამხრეთული გააზრებაც შედეგიანობას უწყობს ხელს. იქაური მსაჯები არაარსებით დარღვევებზე თვალს ხუჭავენ და უპირატესობის წესსაც მარჯვედ ხმარობენ. ამის გამოა, რომ ბურთაობა უწყვეტი გამოდის და მაყურებელიც მთელი 80 წუთის მანძილზე რაგბშია ჩაფლული, რაც გარეშეთათვის კარგია, მაგრამ მიდით და მოთამაშეებსა კითხეთ?! — აშკარაა, რომ ამგვარ დატვირთვას ისინი დიდხანს ვერ გაუძლებენ; ბოლოსა მოთამაშეთა თაობაც ყოველ ოთხხუთ წელში ერთხელ შეიცვლება.

**ლუკა ჯორჯიაშვილი**

### 1996

6. 07. ველინგთონი. ზელანდია 43 (6ლ) — ავსტრალია 6
13. 07. სიდნეი. ავსტრალია 21 (2ლ) — აფრიკა 16 (ლ)
20. 07. ქრაისთჩერჩი. ზელანდია 15 — აფრიკა 11 (ლ)
27. 07. ბრისბენი. ავსტრალია 25 (2ლ) — ზელანდია 32 (2ლ)
3. 08. ბლუმფონტეინი. აფრიკა 25 (ლ) — ავსტრალია 19 (ლ)
10. 08. ქეიფთაუნი. აფრიკა 18 (2ლ) — ზელანდია 29 (2ლ)

| | თ | მ | ნ | ფ | + | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზელანდია | 4 | 4 | 0 | 0 | 1 | 119: 60 | 10- 5 | 17 |
| აფრიკა | 4 | 1 | 3 | 0 | 2 | 70: 84 | 5- 5 | 6 |
| ავსტრალია | 4 | 1 | 3 | 0 | 2 | 71:116 | 5-10 | 6 |

### 1997

19. 07. იოჰანესბურგი. აფრიკა 32 (2ლ) — ზელანდია 35 (4ლ)
26. 07. მელბურნი. ავსტრალია 18 (2ლ) — ზელანდია 33 (3ლ)
2. 08. ბრისბენი. ავსტრალია 32 (4ლ) — აფრიკა 20 (3ლ)
9. 08. ოქლენდი. ზელანდია 55 (7ლ) — აფრიკა 35 (5ლ)
16. 08. დანიდინი. ზელანდია 36 (3ლ) — ავსტრალია 24 (4ლ)
23. 08. პრეტორია. აფრიკა 61 (8ლ) — ავსტრალია 22 (3ლ)

| | თ | მ | ნ | ფ | + | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზელანდია | 4 | 4 | 0 | 0 | 2 | 159:109 | 17-13 | 18 |
| აფრიკა | 4 | 1 | 3 | 0 | 3 | 148:144 | 18-18 | 7 |
| ავსტრალია | 4 | 1 | 3 | 0 | 2 | 96:150 | 13-17 | 5 |



# ოთხშაბათი გადადგომის დღეა

12 ივლისს სიდნეიში ავსტრალიამ ინგლისს უმასპინძლა და 25:6 მოუგო. მაშინ ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ აგვისტოს ბოლომდე მწვრთნელი არ ერთ გუნდს შერჩებოდა და არც მეორეს — „ვოლაბთა" მოძღვარი გრეგ სმითი და „ვარდების" თავკაცი ჯექ რაუელი ერთი კვირის ინტერვალით გადადგებოდნენ.

აულაჟუდა რაუელი ინგლისს 1994 წლის აპრილიდან წვრთნიდა, კონტრაქტი კი სექტემბერში უთავდებოდა. მისი ხელმძღვანელობით „პომებმა" საკმაო წარმატებას მიაღწიეს — ბოლო მსოფლიო თასზე ნახევარფინალში გავიდნენ, შარშანწინ ხუთი ერის პირველობა დიდი სლემით მოიგეს, შარშანაც ჩემპიონები გახდნენ, მაგრამ საზოგადოება მაინც უკმაყოფილო იყო იმით, რომ გუნდი ერთობ მოუქნელ, უფანტაზიო რაგბსა თამაშობდა და თუ ასე გაგრძელდებოდა, სამხრეთი ნახევარსფეროს გუნდებს ვერასოდეს აჯობებდა.

ამას ისიც დაემატა, რომ რაუელი გუნდს ცოტა უცნაურად ადგენდა. ასე მაგალითად, ეშხიანი მულატი ჯერი გასქოთი თხუთმეტეულში შეყვანის ღირსად არ მიაჩნდა. არადა, ამ შუამარბმა „ლომების" აფრიკულ ტურნეზე გადასარევად ითამაშა.

რაუელი მორაგბეობის პარალელურად ფრიად ფხიანი ბიზნესმენიცაა და წილი მრავალ კომპანიაში უდევს. ამის გამო რაგბის კავშირი გადაეკიდა, სხვა საქმეს თავი ანებე და მთელი ენერგია 1999 წლის მსოფლიო თასისთვის გუნდის მზადებას მოახმარეო, მაგრამ ჯექმა უარით გაისტუმრა.

რაგბის კავშირმა რაუელის შემცვლელის ძებნა ისეთი ამბით გააჩაღა და მედიამაც იმხელა აჟიოტაჟი მოაწყო, რომ მწვრთნელმა აღარ დაახანა და გადადგომა თავად არჩია. ეს წინა კვირის ოთხშაბათს მოხდა, ახალი მწვრთნელის ვინაობას კი რაგბის მამები ხვალ გამოაცხადებენ.

ვარაუდობდნენ, რომ იგი შეიძლება ყოფილიყო „ლომების" სამგზის მწვრთნელი, შოტლანდიელი იენ მაკგიჩანი, მაგრამ ამას კლუბ „ნორსჰემპთონთან" კონტრაქტის თანახმად კიდევ 6 წელი მართებს მუშაობა, კავშირს კი 600 ათასი გირვანქა კომპენსაციად ვერ ემეტება. ჰოდა, როგორც ვარაუდობენ, რაუელის ადგილს ისევ და ისევ ინგლისელი დაიკავებს. მედია ფიქრობს, რომ მომავალი მწვრთნელი უკვე შერჩეულია.



სმითი შარშანწინ დეკემბერში დანიშნეს. მისი წინამძღოლობით გამართული 19 თამაშიდან „ვოლაბებმა" 12 მოიგეს, წაგებით კი ხუთიდან ხუთი წააგეს ახალ ზელანდიასთან და ოთხიდან ორი — სამხრეთ აფრიკასთან.

ინგლისელებისა არ იყოს, „ოზებიც" პატივმოყვარე ერია და სპორტში ოდენ პირველობა თუ დააკმაყოფილებთ. ამად არა წყალობდნენ გრეგს და იმას უკიჟინებდნენ, რომ ერთი, შემადგენლობა ვერ დაადგინა, და მეორეც, ნაკრებს სტილი არა აქვსო.

საზოგადოებას მოთმინების ფიალა აუვსო წინა შაბათს აფრიკაში 39 ქულით წაგებამ. რაგბის მამების თათბირი ორშაბათისთვის იყო დანიშნული. რაკი ცხადი იყო, რომ სმითს შერცხვენა არ აცდებოდა, გუშინ სახელდახელოდ გაამართვინა პრეს-კონფერენცია და გადადგომა გამოაცხადა, რითაც კავშირს ხელ-ფეხი გაუხსნა. ესეც იქეთა კვირაში „ვოლაბებს" ახალ გადიას მიუვლენს.

**ნიკო ვეფხვაძე**

## ველორბოლა

# ციებ-ცხელება

სატრეკო ველორბოლა პრესტიჟით საგზატკეცილოსთან ვერ მივა, მაგრამ გუშინ პერთში (დას. ავსტრალია) მისი მსოფლიო პირველობა რომ დაიწყო, საინფორმაციო სააგენტოების უფრო მეტი ყურადღება მიიზიდა, ვიდრე თითოდღიანი საგზატკეცილო რბოლების მსოფლიო თასის VIII სტადიამ.

ავსტრალიაში გაზაფხული დგება, მაგრამ მაინც იმდენად ვერა თბილა, რომ მეტრეკეებმა თავი ლაღად იგრძნონ. აკი კიდეც წუწუნებენ, შენობაში 26 გრადუსი სითბო უნდა იყოს და არა ახლანდელივით 19, შედეგები რიგიანი რომ გავახერხოთო.

მეგზატკეცილეებს, პირიქით, სიცხე არ უყვართ. მსოფლიო თასის კვირის ეტაპსაც — შვეიცარიის დიდ პრიზს, ბაზელიდან ციურიხამდე გასავლელი 237 კმ რომ იყო; საშინელი ხვატი შეხვდა. 248 მონაწილიდან ფინიშს ნახევარზე ნაკლებმა უწია.

ბოლო სამ რბოლაში ეს უკვე მეორედ გაიმარჯვა 26 წლის იტალიელმა დავიდე რებელინმა, ვინაც დისტანცია 6 საათში, 18 წუთსა და 55 წამში გალია. მან ზედ ფინიშზე გაუსწრო საფრანგეთის ტურის წლევანდელ გერმანელ ჩემპიონ იან ულრიხს, რომელმაც მას აქეთ საკმაოდ იუქმა, და თასის ლიდერს, დანიელ როლფ სორენსენს, ვინაც წელს ერთადერთია, ქულები ყოველ სტადიაზე რომ მოუხვეჭია.

ფინიში ერლიკონის ველოდრომზე გაიმართა. იქ ერთბაშად 20 მრბოლი შეიჭრა. რებელინმა გაიხსენა, ჰაბუკობაში მეტრეკე ვიყავ და დევნაში ვვარჯიშობდი; აი, ამიტომ ვაჯობე ჩემზე ცნობილ მრბოლებსო.

არადა, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ან იტალიელი ანდრეა ტაფი, ანაც ფრანგი ლორან ჟალაბერი გაიმარჯვებდნენ. თუ რბოლის პირველი ნახევარი დუნედ წარიმართა, ესენი ბოლო კილომეტრზე გააქტიურდნენ და ტრეკზეც პირველები შევარდნენ, მაგრამ იტალიელი საბოლოოდ მე-15, ფრანგი კი 26-ე ადგილზე დარჩა.

რებელინი ამ მოგებით მესამე ადგილზე გადავიდა. მას 205 ქულა აქვს. წინ სორენსენი (276 ქულა) და იტალიელი მიკელე ბარტოლი (228) არიან, სარბოლი კი კიდევ ორი სტადიაა, ოღონდაც ოქტომბერში.

**მიხო ნინუა**

## მძლეოსნობა

# ოცი სამად არ იყოფა!

გუშინწინ ბერლინში გული ცოტა ვინმეს თუ დაწყდებოდა. ვისაც 20 კილო ოქროში წილის დადება შეეძლო, თავი არ შეურცხვენია და „ოქროს ოთხეულის" ბოლო ეტაპზეც მოიგო თავისი დისციპლინა. ერთი ეგ იყო, რომ მოწილე სამი გამოვიდა და რაკი ოქრო თითოკილოიან ზოდებად გაიცა, ცოტა გაუგებარია, ნამიბიელმა ფრანკი ფრედრიქსმა, მაროკოელმა ჰიშამ ელგეროუჟმა და რუმინელმა გაბრიელა საბომ ჯილდო როგორ გაინაწილეს — ბავშვმაც ხომ იცის, რომ 20 სამზე უნაშთოდ არ იყოფა!

ვეტერანი ფრედრიქსი პირველი სპრინტერია, ვინაც ერთ სეზონში ოსლოშიც მოიგო, ციურიხშიც, ბრიუსელშიცა და ბერლინშიც. შარშანწინ ამასვე უმიზნებდა ბრიტანელი ლინფორდ ქრისთი, მაგრამ გერმანიაში კანადელმა დონოვან ბეილიმ ჩაუშალა გეგმა.

ბეილის ახლა ფრედრიქსის გაფუჭებაც შეეძლო, მაგრამ 10,05 წამით ამერიკელ თიმ მონთგომერისთან მეორე ადგილი გაიყო, გამარჯვებული ფრანკის დრო კი 9,99 იყო.

ელგეროუჟმა ერთ მილზე, რომელიც 1500 მეტრის ბრიტანულ-ამერიკული ანალოგია და ზოგ შეჯიბრში მას ენაცვლება, შეუტია ალჟირელი ნურადინ მორსელის ოთხი წლის წინდელ მსოფლიო რეკორდს, მაგრამ ერთ წამზე მეტი დააკლდა (3.45,64). კენიელი დანიელ კომენი, ვინაც პარასკევს ბრიუსელში ეთიოპ ჰაილე გაბრესილასიეს მოუხსნა 5000 მეტრზე სირბილის რეკორდი, მეორე ადგილზე გავიდა (3.47,38).

24 წლის გაბრესილასიეც იქ იყო და 5000 მეტრზე იასპარეზა. სტარტამდე კიდეც დაიქადნა, რეკორდი ჩემია და დროებით გავათხოვეო, მაგრამ კომენის შედეგს ერთბაშად 16 წამით (!!!) გადაამეტა (12.55,14) და ამაოდ დაშვრა.



ფრედრიქსმა წაილაღავა — ელგეროუჟისა და საბოს თანდასწრებით ოქროს ზოდს გემო გაუსინჯა

როიტერი ბერლინიდან

ოქროს ზოდების მესამე მოცილე საბოც 5000-ზე დარბის. გარბენში ფრიადი ტაქტიკური ბრძოლა გაიმართა და რუმინელიც ბოლო წრეზელა გაიჭრა წინ (14.44,35). რაც შეეხება ქალთა სპრინტს, ნორჩმა ამერიკელმა მარიონ ჯოუნზმა (10,81) ისევ დაამარცხა ბებრები — იამაიკელი მერლინ ოთი (10,85) და ამერიკელი გეილ დივერსი (10,88).

ბოლოს გაიმართა ევროპელ მაყურებლებთან 36 წლის 9-გზის ოლიმპიური ჩემპიონის, თმებდაწნული და ხილაბანდწაკრული ზანგი კარლ ლუისის გამოთხოვება. ეს ლეგენდარული ათლეტი კარგა ხანია ევროპაში მოგზაურობს და შეჯიბრებებში თუმც მეტწილად არც მონაწილეობს, საზოგადოებას ყველგან წარუდგება ხოლმე და ქათინაურს იფერებს.



ლუისს ბერლინელებმა თაიგული უძღვნეს

როიტერი ბერლინიდან

ბერლინში ლუისმა იქაურებს დიდი პატივი დადო. ჩაეწერა მორიგ „დრიმ თიმში" და 4X100 მ ესტაფეტის ბოლო ეტაპი ირბინა. მისი და ბეილის, ლეროი ბარელისა (აშშ) და ფრედრიქსის ოთხეულის შედეგი 38,24 წამი იყო. მეორე ადგილი დაიკავა „ამერიკამ" (38,65), მესამე — „აფრიკამ" (39,22).

კარლს 56 ათასმა მაყურებელმა ოვაცია გაუმართა. ვეტერანისთვის ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე ბოლო ასპარეზობა სიმბოლური ყოფილა, რადგან კერპად ჯესი ოუენსი ყავს, ვინაც სწორედ იქ, 1936 წელს მოიპოვა ოთხი ოლიმპიური ოქრო — 100 და 200 მეტრზე სირბილში, ესტაფეტაში და სიგრძეზე ხტომაში. ლუისმა ლოს-ანჯელესში, 1984 წელს ოუენსის სწორედ ეს მიღწევა გაიმეორა.

**რეზო ნემსაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მჭეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29